



## არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპული ქსელის (ENEMO) არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისია

საქართველოს 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები

განცხადება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ

27 ოქტომბერი, 2024

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები პოლარიზებულ და შემზღვეველ გარემოში ჩატარდა, რამაც ძირითადი გამოუთხარა არჩევნების ინკლუზიურობას, გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. კრიტიკული დარღვევები მოიცავდა ოპოზიციის წევრებზე ძალადობას, ამომრჩეველთა დაშინებას, დამკვირვებლების წინააღმდეგ წარმოებულ ცილისმწამებლურ კამპანიას და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების ფართო შემთხვევებს. წინასაარჩევნო კამპანიის რეგულაციების შემზღვეველმა აღსრულებამ შეასუსტა კონკურენცია, მნიშვნელოვანი ზეწოლა იქონია სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიაზე და შეზღუდა სივრცე ხელისუფლების კრიტიკისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ პროცესი ზოგადად პროფესიონალურად და ეფექტიანად წარმართა, ENEMO ცესკოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ შეშფოთებას გამოთქვამს. აღრიცხული ხარვეზების კუმულაციურმა ზემოქმედებამ საარჩევნო პროცესის დემოკრატიული სანდოობა მნიშვნელოვნად დააზარალა.

2024 წლის სექტემბერში არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპული ქსელის (ENEMO) არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისია (EOM)

საქართველოში ოფიციალურად შეუდგა მუშაობას 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვების მიზნით.

ENEMO-ს ძირითადი გუნდი თბილისში დაფუძნებული შვიდი აკრედიტებული ექსპერტისგან შედგება. მისიას ხელმძღვანელობს დოქტორი ზლატკო ვუიოვიჩი. ENEMO-ს დამატებით ჰყავს რვა გრძელვადიანი დამკვირვებელი (LTO), რომლებიც ოთხ მრავალეროვნულ ჯგუფად არიან დაკომპლექტებული და მთელი ქვეყნის მასშტაბით – თბილისში, ზუგდიდში, ქუთაისსა და გორში არიან გადანაწილებულნი.

არჩევნების დღეს ENEMO-მ საქართველოში დამკვირვებელთა 44 მრავალეროვნული ჯგუფი ჩამოიყვანა, საარჩევნო უბნების მომზადებისა და გახსნის პროცესებზე, ასევე ასევე საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საარჩევნო მასალების მიღება-გადაცემაზე დასაკვირვებლად. რვა გრძელვადიანი (LTO) და 80 მოკლევადიანი დამკვირვებლისგან (STO) დაკომპლექტებულმა სადამკვირვებლო ჯგუფებმა, 44 საარჩევნო უბანზე გახსნის პროცედურებს, 482 საარჩევნო უბანზე ხმის მიცემას და 44 უბანზე დახურვისა და დათვლის პროცედურებს გაუწიეს მონიტორინგი. გარდა ამისა, ENEMO საარჩევნო მასალების მიღებას და შედეგების შეჯამებას 44 საოლქო საარჩევნო კომისიაში დააკვირდა.

ამას გარდა, 2024 წლის 26 ოქტომბრამდე ENEMO-ს ძირითადი გუნდის ექსპერტებმა და გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა ჩაატარეს 366 შეხვედრა, აქედან 131 – არჩევნების მართვის ორგანოებთან, 59 – პოლიტიკურ პარტიებთან და კანდიდატებთან, სამი შეხვედრა სახელმწიფო მოხელეებთან, 23 – მედიასთან, 43 – ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, 31 კი სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებთან. გარდა ამისა, მისიის წარმომადგენლები დააკვირდნენ საარჩევნო ადმინისტრაციის 40 -ზე მეტ სესიასა და ტრენინგს და კამპანიის 25 აქტივობას (შეხვედრებს ან მსვლელობებს).

მისია საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს სამართლებრივი ჩარჩოს საფუძველზე აკვირდებოდა და აფასებდა მთლიან პოლიტიკურ და საარჩევნო გარემოს, ხმის მიცემისა და არჩევანის უფლების დაცვის ხარისხს, საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოების მუშაობას, კამპანიის ჩატარების წესებს, გენდერული თანასწორობის დაცვის საკითხს, ხმის მიცემისა და შეჯამების პროცესებს, საარჩევნო დაკვირვების გადაწყვეტას და პროცესის სხვა კრიტიკულად მნიშვნელოვან ასპექტებს.

ეს წინასწარი განცხადება დაფუძნებულია ENEMO-ს წინასაარჩევნო და არჩევნების დღის პერიოდში მოპოვებულ მიგნებებზე. განცხადება უნდა განიხილებოდეს მისიის შუალედურ ანგარიშთან ერთად. მისია ქვეყანაში დარჩება საარჩევნო პროცესის დასრულებამდე, რათა თვალი ადევნოს არჩევნების შემდგომ მოვლენებს. საბოლოო ანგარიში, სრული შეფასების ჩათვლით, რომელშიც მოცემული იქნება პროცესის

სრული შეფასება, კონკრეტული მიგნებები და რეკომენდაციები, გამოქვეყნდება შედეგების სერტიფიცირებიდან 60 დღის განმავლობაში.

**დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ENEMO.**

## წინასწარი დასკვნები

---

2024 წლის 26 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ახალი სრულად პროპორციული სისტემით ჩატარდა. არჩევნები მკვეთრად პოლარიზებულ პოლიტიკურ კონტექსტში წარიმართა, რაც სადავო საკანონმდებლო საკითხებით კიდევ უფრო გამწვავდა, განსაკუთრებით 2024 წლის ივლისში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ. ამ უკანასკნელმა მასშტაბური პროტესტები და მთავრობის მიმართ უკმაყოფილება გამოიწვია. პროტესტის მონაწილეების მიმართ არასათანადო მოპყრობის, შევიწროებისა და მასობრივი თვალთვალის ბრალდებებმა, მნიშვნელოვნად იმოქმედა ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობაზე და არჩევნების დროს თვითცენზურის შემთხვევები გამოიწვია. აღნიშნული გარემო დეზინფორმაციის კამპანიებითა და ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო ბოროტად გამოყენებით კიდევ უფრო გაუარესდა, რამაც საარჩევნო პროცესში ჩართულობასა და სამართლიანობას შეუშალა ხელი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია და საარჩევნო კოდექსი საარჩევნო პროცესის საბაზისო სტრუქტურას უზრუნველყოფს, ბოლო დროს განხორციელებულმა ფრაგმენტულმა ცვლილებებმა სტაბილურობასა და თანმიმდევრულობასთან დაკავშირებით ეჭვები გააჩინა. საკვანძო საკანონმდებლო ნაბიჯები მოიცავდა წინასაარჩევნო კოალიციების აკრძალვას, საარჩევნო ზღვრის 1%-დან 5%-მდე გაზრდას, იურიდიული პირებისგან შემოწირულებების აკრძალვას და გენდერული კვოტების გაუქმებას. ამ ცვლილებებმა უარყოფითად იმოქმედა მცირე პარტიების, ახალი პოლიტიკური სუბიექტებისა და ქალი კანდიდატების კონკურენტუნარიანობაზე. გარდა ამისა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) შემადგენლობისა და გადაწყვეტილებების მიღების წესთან დაკავშირებული ცვლილებები მიღებულ იქნა ფართო კონსენსუსისა და საზოგადოებრივი კონსულტაციების გარეშე, რაც რეფორმების პროცესისა და საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის მიმართ ნდობას ძირს უთხრის.

ENEMO-ს შეფასებით, საარჩევნო ადმინისტრაციის, მათ შორის ცესკოს, საოლქო (DEC) და საუბნო საარჩევნო კომისიების (PEC) საქმიანობა პროფესიონალიზმით და ეფექტურობით გამოირჩეოდა, თუმცა გამჭვირვალობის კუთხით ხარვეზები შესამჩნევი იყო. ცესკოს ბოლო წუთს მიღებული გადაწყვეტილება, რომელმაც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების თარიღი დაადგინა, საჯაროდ არ გავრცელებულა, რითაც დამკვირვებლებს პროცესის მონიტორინგის საშუალება არ მიეცათ. ოპოზიციის მიერ წარდგენილმა ცესკოს წევრებმა ხაზი გაუსვეს არათანაბარ მოპყრობასა და ინფორმაციის მოპოვების სირთულეებს.

ახალი საარჩევნო ტექნოლოგიები, მათ შორის ამომრჩეველთა საიდენტიფიკაციო მოწყობილობები და ბიულეტენების ოპტიკური სკანერები, უბნების 75%-ში დაინერგა, რომელიც ამომრჩეველთა დაახლოებით 90%-ს მოიცავს.

ENEMO-სთან საუბრისას ჩართულ მხარეებს არ გამოუთქვამთ რაიმე არსებითი შეშფოთება ამომრჩეველთა სიის სიზუსტესთან და ინკლუზიურობასთან დაკავშირებით. ამომრჩეველებს სიაში საკუთარი თავის გადამოწმების რამდენიმე გზა ჰქონდათ, რათა შესწორებები მოეთხოვათ. ამომრჩეველთა წინასწარი სიები საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე საჯაროდ გამოქვეყნდა. მოქმედი საარჩევნო სისტემა კანდიდატებს დამოუკიდებლად კენჭისყრის უფლებას არ აძლევს, რაც დემოკრატიული არჩევნების საერთაშორისო ვალდებულებებსა და სტანდარტებს ეწინააღმდეგება.

ცესკოს მიერ სულ 18 საარჩევნო სუბიექტი დარეგისტრირდა, რაც ამომრჩეველებს პოლიტიკური ალტერნატივების ფართო სპექტრს აძლევდა. თუმცა, კანდიდატებს სხვა პარტიის სიით კენჭისყრის უფლება არ მიეცათ, მათი პარტიული წევრობის ფორმალური შეცვლის ან შეჩერების გარეშე. ENEMO აღნიშნავს, რომ პარტიებისა და კანდიდატების რეგისტრაციის პროცესის გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის მიუხედავად, ეს უკანასკნელი რეგულაცია ხელს უშლის გაერთიანების თავისუფლებას.

საჯარო სექტორის თანამშრომლებზე ზეწოლის, მედიის შერჩევითი ხელმისაწვდომობისა და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების ბრალდებებმა ჩრდილი მიაყენა საარჩევნო კამპანიას. ზოგიერთ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიას მედიაზე ხელმისაწვდომობა შეეზღუდა, რამაც ხელი შეუშალა ამომრჩეველთა შესაძლებლობას გასცნობოდნენ სხვადასხვა შეხედულებებს. კამპანიაში დომინირებდა გეოპოლიტიკური საკითხები, რაც მმართველი პარტიის მიერ აღწერილი იყო როგორც არჩევანი ომსა და მშვიდობას შორის, ხოლო ოპოზიცია მას სახავდა, როგორც არჩევანს ევროპასა და რუსეთს შორის. ENEMO აღნიშნავს, რომ მმართველი პარტიისა და უცხოელი აქტორების მიერ გავრცელებულმა დეზინფორმაციულმა ნარატივებმა საინფორმაციო სივრცის მთლიანობა დაარღვია და საზოგადოების აღქმა დაამახინჯა.

ამომრჩევლების ორგანიზებისა და დაშინების მიზნით საჯარო რესურსების ბოროტად გამოყენების შესახებ არაერთი ცნობა არსებობს. ეს მოიცავდა მოხსენებებს მოქალაქეებისათვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ჩამორთმევის, სოციალურად დაუცველ ჯგუფებზე ზეწოლის მიზნით სოციალური სერვისების გამოყენების შესახებ. ასევე, ვრცელი ანგარიშები ფიქსირდება განათლების სექტორის გამოყენებაზე, რათა მათი თანამშრომლების მმართველი პარტიის ღონისძიებებზე დასწრება და მმართველი პარტიისთვის ხმის მიცემა უზრუნველყოფოთ. არჩევნებისადმი ნდობის შენარჩუნებასა და არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობაზე ამ პრაქტიკის გავლენის შესახებ ENEMO ძლიერ შემფოთებას გამოთქვამს.

მედია გარემო ძალზე პოლარიზებულია. უფასო საეთერო დროისა და ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ხელმისაწვდომობა მხოლოდ ნაწილობრივ იქნა დაცული. მედიას არ ჰქონდა სამართლებრივი გზა, განმარტებები მიეღო იმის შესახებ, არღვევდა თუ არა პოლიტიკური პარტიების რეკლამები სიძულვილის ენის, ძალადობის წაქეზებისა და ეთნიკური სიძულვილის აკრძალვებს.

ანტიკორუფციულმა ბიურომ ზედმეტად ფართო ინტერპრეტაცია მისცა დეკლარირებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტის განმარტებას არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასთან დაკავშირებული პირების მიმართ. ComCom-ის ინტერპრეტაციით, პოლიტიკურ სუბიექტებს, რომელთა ლიდერებმა განაცხადეს, რომ ისინი შეუერთდებოდნენ სხვა კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიებს, არ მიენიჭათ უფასო საეთერო დრო. ENEMO მიიჩნევს, რომ ორი მარეგულირებელი ორგანოს ქმედებებმა უარყოფითად იმოქმედა გამოხატვის თავისუფლებასა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების უნარზე, ეწარმოებინათ საარჩევნო კამპანია, რაც ხელისუფლების კრიტიკის სივრცეს ამცირებს.

საქართველოში ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა მკვეთრად არათანაბარია. პოლიტიკური სფეროს როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე მამაკაცები დომინირებენ. მიუხედავად 2020 წელს ამ უთანასწორობის აღმოსაფხვრელად შემოღებული კვოტებისა, 2023 წელს კვოტების გაუქმებამ ქალი კანდიდატების მკვეთრი შემცირება გამოიწვია, განსაკუთრებით მმართველი პარტია “ქართული ოცნების” სიებში. ENEMO კვოტების გაუქმებას მნიშვნელოვან რეგრესად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ეს გენდერული უთანასწორობის გამწვავების რისკებს აჩენს. მიუხედავად ცესკოს მიერ ქალთა მონაწილეობის წახალისების მიზნით ქალი პოლიტიკური წარმომადგენლებისთვის ტრენინგ-პროგრამების ინიცირებისა, ეს ძალისხმევა არ აღმოჩნდა საკმარისი იმ ნეგატიური გავლენის საწინააღმდეგოდ, რაც კვოტების მსგავსი სტრუქტურული მექანიზმების გაუქმებამ გამოიწვია.

საარჩევნო პროცესებში შეზღუდული გახლდათ უმცირესობის ჯგუფების წარმომადგენლობა და ჩართულობა. საერთო ჯამში, საკანონმდებლო და

ადმინისტრაციული ძალისხმევა, კანდიდატების სიებში უმცირესობათა ჩართულობისა და ამომრჩეველთან წვდომის ხელშესაწყობად, არასაკმარისი იყო.

საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, სამოქალაქო საზოგადოების სულ უფრო შეზღუდული სივრცის ფონზე, ადგილობრივი დამკვირვებლები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე იდგნენ. ცესკომ 101 ადგილობრივი ორგანიზაციიდან 23,153 ადგილობრივი დამკვირვებელი დაარეგისტრირა, მათ შორის “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო”, “სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება” (ISFED), “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია” (საია) და “საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო” (PMMG). მთავრობის ქმედებების მზარდმა ზეწოლამ — მათ შორის სამართლებრივმა ბარიერებმა და „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის საფუძველზე გაძლიერებულმა კონტროლმა — მათი მოქმედების არეალი შეზღუდა, რაც საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით შეშფოთებას იწვევს. პირდაპირი ჩარევის ისეთი მაგალითი, როგორცაა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სადამკვირვებლო საქმიანობის დროებითი შეჩერება, სამოქალაქო საზოგადოებასა და მმართველ პარტიას შორის დამაბულ ურთიერთობას ასახავს და კიდევ უფრო ამძაფრებს პოლიტიკურ კლიმატს.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ძალისხმევაში მონაწილეობა მიიღო 76 ორგანიზაციის 1,713 დამკვირვებელმა. ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია მმართველი პარტიის ლიდერებისა და მათთან დაკავშირებული მედიის მხრიდან დისკრედიტაციული კამპანიების სამიზნე გახდა, რაც კიდევ უფრო ართულებს სადამკვირვებლო გარემოს და აფერხებს მიუკერძოებელ ზედამხედველობის შესაძლებლობას. ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებზე ასეთი ზეწოლა გამოკვეთს სადამკვირვებლო პროცესისთვის შექმნილ შეზღუდულ პირობებს, რაც სამართლიანი და გამჭვირვალე საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფის მცდელობებს მეტად ართულებს.

საქართველოში არჩევნების დღეს მრავალი სერიოზული საკითხი დაფიქსირდა, რაც გავლენას ახდენს პროცესის სანდოობაზე. ENEMO-ს დამკვირვებლებმა ძალადობისა და დაშინების მრავალი ფაქტი აღრიცხეს, მათ შორის თავდასხმები ოპოზიციის წარმომადგენლების, მხარდამჭერებისა და ჟურნალისტების მიმართ, სავარაუდოდ, ქართულ ოცნებასთან აფილირებული პირების მიერ, განსაკუთრებით, მარნეულში, თბილისსა და კახეთში. საარჩევნო უბნებთან არსებული დამაბული ატმოსფერო მოიცავდა ამომრჩეველთა დაშინებას, არაუფლებამოსილ პირების ირგვლივ ყოფნასა და ორგანიზებულ ტრანსპორტირებას, სადაც ქართული ოცნების აგიტატორები მრავალჯერ ეცადნენ ამომრჩეველებზე გავლენის მოხდენას. გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიერ საარჩევნო უბნებზე კამერების დამონტაჟებამ ამომრჩეველთა კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ პროცედურები ზოგადად დაცული იყო, ეს კუმულაციური პრობლემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა არჩევნების დღის სამართლიანობაზე.

ENEMO-მ საარჩევნო უბნების გახსნის პროცედურებზე მცირე პრობლემები დააფიქსირა, მათ შორის უბნების თითქმის მესამედში ტექნიკური გაუმართაობისა და დეორგანიზაციის გამო არსებული შეფერხებები. დაკვირვებული საარჩევნო უბნების 28.6%-ში ამომრჩევლებს PCOS მოწყობილობების გამოყენებისას დახმარება სჭირდებოდათ. ENEMO-მ უარყოფითად შეაფასა საარჩევნო უბნების 4.8%-ის საქმიანობა, სადაც ამომრჩეველთა კონფიდენციალურობის დარღვევები მნიშვნელოვან პრობლემად რჩებოდა.

დაკვირვებული ყველა საარჩევნო უბანი დროულად დაიხურა, მათგან 81,8% დათვლის ელექტრონულ ტექნოლოგიებს იყენებდა. არაუფლებამოსილი პირები დაკვირვებული საარჩევნო უბნების 4.5%-ში იყვნენ წარმოდგენილნი, მაგრამ წინასწარი დათვლის პროცედურები სრულად დაცული იყო და დახურვისას რიგები არ დაფიქსირებულა. მცირე პროცედურული საკითხები უბნების 8.2%-ში აღინიშნებოდა, ტექნიკური პრობლემები კი პროტოკოლის გადაცემის დროს 11.4%-ში წარმოიშვა. საერთო ჯამში, ENEMO-მ უბნების 95.4% დახურვისა და ხმის დათვლის პროცესები დადებითად შეაფასა, მხოლოდ 4.6%-ში გამოავლინა ორგანიზაციული ხარვეზები. მასალების საოლქო საარჩევნო კომისიებში გადაცემისას საოლქო საარჩევნო კომისიის შენობების 9.0% იყო არასათანადო პირობებში, ხოლო 11.4% იყო გადატვირთული, რამაც საოლქო საარჩევნო კომისიის 4.6%-ზე უარყოფითი შეფასება გამოიწვია.

26 ოქტომბრისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოებს სულ 216 საჩივარი წარედგინა, ძირითადად საუბნო საარჩევნო კომისიის ფუნქციონირების (78), ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებისა (28) და საარჩევნო კამპანიის დარღვევების (75) შესახებ. აქედან 40 საჩივარი კვლავ განხილვის პროცესშია, დაკმაყოფილებულია - 17, ხოლო საჩივრების დარჩენილი ნაწილი ან არ დაკმაყოფილდა, ან უარყოფილ იქნა. გარდა ამისა, არჩევნებთან დაკავშირებული 35 საქმე სასამართლოში განიხილება, ეს საქმეები შემდეგ საკითხებს ეხება: საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტების აღიარება, უფასო საეთერო დროის განაწილება, საზღვარგარეთ ხმის მიცემა და მაუწყებლების უფლება პარტიები კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებად მიჩნევა.

ENEMO აღნიშნავს, რომ სასამართლოებს აქვთ ტენდენცია, ფართო ინტერპრეტაციით დაუჭირონ მხარი შეზღუდვებს, მაშინ როდესაც უფლებების გაფართოების ან დაცვის საკითხებში უფრო ვიწრო და მკაცრ მიდგომას ირჩევენ. პროცედურული მოთხოვნები და მოკლე ვადები - განსაკუთრებით აპელაციებისას და გადაწყვეტილების ორდღიანი ლიმიტი - პოტენციურად ზღუდავს ყოვლისმომცველი საქმეების განხილვას, განსაკუთრებით რთული დავების დროს.

არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების და გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია ძირითადად ხელმისაწვდომი იყო ონლაინ პორტალზე, რაც გამჭვირვალობას უწყობდა ხელს. თავის მხრივ საარჩევნო კომისიები და სასამართლოები დიდწილად იცავდნენ სამართლებრივ ვადებს, რაც ასევე ხელს უწყობდა დროულ მიმართვიანობას.

## ზოგადი მიმოხილვა

---

2024 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნები გაიმართა. ეს პირველი სრულად პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნები იყო, რის საფუძველზეც 150-ვე საპარლამენტო მანდატი გადანაწილდება. არჩევნების შედეგად დაინერგა ამომრჩეველთა იდენტიფიკაციისა და ხმების დათვლის ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენებოდა საარჩევნო უბნების 74%-ში.

არჩევნები ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისისა და ღრმა პოლიტიკური პოლარიზაციის ფონზე წარიმართა, რაც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებით კიდევ უფრო გამწვავდა. 2024 წლის ივლისში მესამე მცდელობით კანონის მიღებამ ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები და ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოხმაურება გამოიწვია. ეს საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას მოჰყვა. თუმცა შემდგომში რამდენიმე დასავლური სახელმწიფოს მხრიდან საქართველოსთვის ფინანსური დახმარების გაყინვა<sup>1</sup>, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის შეჩერების შესახებ გაფრთხილების მიღება<sup>2</sup> და აშშ-ს მიერ რიგი სანქციების დააწესება გამოიწვია<sup>3</sup>.

წინასაარჩევნო კამპანიაში დომინირებდა გეოპოლიტიკური თემები, რასაც მმართველი პარტია სახავდა როგორც არჩევანს ომსა თუ მშვიდობას შორის, ოპოზიციური პარტიების უმეტესობა კი – როგორც არჩევანს ევროკავშირსა და რუსეთს შორის. ტრადიციული ღირებულებები აქტიურად იყო წარმოდგენილები მმართველი პარტიის კამპანიაში, რაც ვენეციის კომისიის მოსაზრებისა<sup>4</sup> და ევროკავშირის რეკომენდაციის საწინააღმდეგოდ, ოჯახური ღირებულებების დაცვის შესახებ კანონის მიღებით დასრულდა.

---

<sup>1</sup> ბრიტანეთი აჩერებს საქართველოსთან უსაფრთხოების დიალოგს, [Reuters](#).

<sup>2</sup> ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი შეჩერებულია, [Civil.ge](#)

<sup>3</sup> [აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტი საქართველოს ოფიციალურ პირებსა და ექსტრემისტებს, ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევისთვის სანქციებს უწყებს](#)

<sup>4</sup> იხილეთ [ვენეციის კომისიის მოსაზრება](#) CDL-AD(2024)021-e



არჩევნებში აქტივობამ 58,94% შეადგინა. ცესკომ უბნების შედეგების რეალურ დროში გამოქვეყნება დაიწყო და წინასწარი შედეგების შესახებ პირველი განცხადება 22:00 საათზე<sup>5</sup>, უბნების დახურვიდან ორი საათის შემდეგ გამოაქვეყნა. წინასწარი შედეგები ცხადყოფს, რომ ქართულმა ოცნებამ ხმების აშკარა უმრავლესობა (54,23%) მოიპოვა ოპოზიციური პარტიებისგან განსხვავებით, რომლებმაც 37,44% მიაღწიეს. "ერთობა - ნაციონალური მოძრაობის," "კოალიცია ცვლილებისთვის" და "ძლიერი საქართველოს" ლიდერებმა ცალცალკე განაცხადეს, რომ ცესკოს მიერ გამოცხადებულ ოფიციალურ წინასწარ შედეგებს არ ცნობენ.

## სამართლებრივი ჩარჩო და საარჩევნო სისტემა

---

### სამართლებრივი ჩარჩო

საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების სამართლებრივი ჩარჩო ბოლოდროინდელი ხშირი ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა. მათი დიდი ნაწილი არჩევნების თარიღამდე ცოტა ხნით ადრე განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არჩევნების მარეგულირებელი ტრადიციული სამართლებრივი ჩარჩო არსებობს საქართველოს კონსტიტუციისა და საარჩევნო კოდექსის სახით<sup>6</sup>, ENEMO აღნიშნავს, რომ ამ საარჩევნო ციკლის რეფორმების დღის წესრიგი ფრაგმენტული და რეაქტიული ბუნებით ხასიათდებოდა.

ბოლო წლებში არჩევნებთან დაკავშირებული კანონმდებლობა ხშირ ცვლილებებს განიცდიდა, რაც მიმდინარე პოლიტიკურ დებატებსა თუ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის დღის წესრიგს უკავშირდებოდა. ეს ცვლილებები პოლიტიკური მოლაპარაკებებისა და ბოლო დროს მიღწეული პოლიტიკური შეთანხმებების<sup>7</sup> ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა, რაც 2024 წლის მაისში ბოლო

---

<sup>5</sup> წინასწარი შედეგები უბნების 97%-ზე გამოყენებულ საარჩევნო ტექნოლოგიებს ეყრდნობოდა.

<sup>6</sup> საქართველოს კონსტიტუცია (1995) განსაზღვრავს ფუნდამენტურ პრინციპებს; საქართველოს საარჩევნო კოდექსი (2011) არჩევნების ჩატარების ძირითად სამართლებრივ ჩარჩოს წარმოადგენს და აძლიერებს საკანონმდებლო ჩარჩოს. სხვა ისეთი მნიშვნელოვანი კანონები, როგორცაა ორგანული კანონი "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" (1997), რომელიც პოლიტიკური პარტიების აქტივობებს არეგულირებს, და "მაუწყებლობის შესახებ" (2005) კანონი, რომელიც არჩევნების პერიოდში მედიაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს, დამატებით აძლიერებს საკანონმდებლო ჩარჩოს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) მიერ გამოცემული განკარგულებები არჩევნებში დაინტერესებულ მხარეებს დამატებით მარეგულირებელ მითითებებს სთავაზობს.

<sup>7</sup> საარჩევნო კოდექსში შეტანილი ზოგიერთი ცვლილება ხშირად მაღალი ფსონების პოლიტიკური მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების შედეგად მიიღება. მაგალითად, 2021 წლის 19 აპრილის შარლ მიშელის

ჩასწორებებით<sup>8</sup> დასრულდა. საარჩევნო კანონმდებლობაში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ 20-ზე მეტი საკანონმდებლო ცვლილება შევიდა, რომელთაგან ბოლო 2024 წლის მაისში განხორციელდა.

მიუხედავად გარკვეული პოზიტიური ცვლილებებისა, როგორცაა ქვედა დონის საარჩევნო ორგანოების მიუკერძოებლობის გაძლიერება, დამკვირვებელთა როლის გაფართოება, ხელახალი დათვლის საფუძველების დამატება და საარჩევნო დავების გადაჭრის პროცესში ვადების კორექტირება — რეფორმისადმი ზოგადი მიდგომა კვლავ ფრაგმენტული და არათანმიმდევრული იყო. მაშინ როცა საერთაშორისო დამკვირვებელთა, მათ შორის ეუთო/ოდირისა (OSCE/ODIHR) და ENEMO-ს რეკომენდაციები ნაწილობრივ გათვალისწინებულ იქნა, ფართო რეფორმის დღის წესრიგი არ იყო ყოვლისმომცველი და არ ემსახურებოდა სისტემური პრობლემების სრულყოფილად გადაჭრას.

უახლესი ცვლილებებიდან ნეგატიურად შეიძლება შეფასდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) შემადგენლობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებთან დაკავშირებული შესწორებები. ENEMO ყურადღებას ამახვილებს, რომ ბევრი ეს ცვლილება ფართო პოლიტიკური კონსენსუსის ან მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი განხილვის გარეშე განხორციელდა, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ლეგიტიმობისა და მიღმა არსებული მოტივაციის საკითხებს. ცვლილებების დაჩქარებული მიღება მეტად ემსახურებოდა მმართველი პარტიის ინტერესებს, ხოლო ნაკლებად საარჩევნო პროცესის გაუმჯობესებას.

გარდა ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორცაა ვენეციის კომისია, ეუთოს/ODIHR-ის და ადგილობრივი დამკვირვებლების ძირითადი რეკომენდაციები — განსაკუთრებით საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების დანიშვნის პროცესში არსებული ხარვეზების, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების პრევენციის, კამპანიის ფინანსური ზედამხედველობის, მედია კამპანიების რეგულაციების და საარჩევნო დავების გადაწყვეტის მოწესრიგების შესახებ — ან მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა ან საერთოდ იგნორირებული დარჩა.

ENEMO-ს შეფასებით, სისტემური, ყოვლისმომცველი რეფორმის დღის წესრიგის არარსებობამ, ინკლუზიური და მონაწილეობაზე დაფუძნებული პროცესის ნაკლებობამ, გამოიწვია ცვლილებების ცალმხრივად მიღების პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცვლილებებიდან ზოგი პოზიტიურ შედეგს იწვევდა, მათი გავლენა ხშირად არასაკმარისი და არათანმიმდევრული იყო, რამაც ვერ უზრუნველყო

---

შეთანხმება, რომელიც პოლიტიკური პოლარიზაციის მოგვარებას და რეფორმებს საქართველოს საარჩევნო ჩარჩოს გასაძლიერებლად.

<sup>8</sup>2024 წლის 29 მაისს საპარლამენტო უმრავლესობამ დამატებითი რეფორმები წარადგინა, დელეგატების ინსტიტუტის შემოღების წინადადებით. 28 ამ ცვლილებების თანახმად, პარტიას შეუძლია კანდიდატი დელეგატის როლზე წარადგინოს 30 ოლქიდან ერთ-ერთში, რომელთა გეოგრაფიული მანდატი ემთხვევა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამოყენებულ მაჟორიტარულ ოლქებს.

საარჩევნო პროცესში არსებული გამოწვევების გადაჭრა. ამ გამოწვევებმა თავი იჩინა მიმდინარე საარჩევნო ციკლშიც.

## საარჩევნო სისტემა

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში პირველად ჩატარდა პროპორციული საარჩევნო სისტემით, დახურული პარტიული სიით, ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში. აკრძალული იყო წინასაარჩევნო კოალიციების შექმნა, ხოლო მანდატების განაწილების პროცესში მონაწილეობის მისაღებად, პარტიებს ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5%-იანი ბარიერი უნდა გადაეღებინათ. ასევე, არ იყო დაშვებული დამოუკიდებელი კანდიდატურები.

მიუხედავად იმისა, რომ რეფორმირებული სისტემა მიზნად ისახავდა პროპორციულობის და წარმომადგენლობითობის გაზრდას, ENEMO აღნიშნავს, რომ წინასაარჩევნო კოალიციების აკრძალვას და შედარებით მაღალსაარჩევნო ბარიერს შეეძლო ხელი შეეშალა ამ მიზნების სრულფასოვნად განხორციელებისათვის.

## საარჩევნო ადმინისტრაცია

---

საქართველოში საარჩევნო პროცესის მართვა სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ხდება, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის (CEC), 73 საოლქო საარჩევნო კომისიის (DECs)<sup>9</sup> და 3031 საუბნო საარჩევნო კომისიისგან (PEC) შედგება.<sup>10</sup>

ყოველსაშუალოდ პაკეტი, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობის, წევრთა დანიშვნის მექანიზმებისა და ასევე, ახალი საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით ცვლილებებს ითვალისწინებდა, რაც საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიონალიზმის დონისა და საზოგადოების მხრიდან ნდობის ამაღლებას ისახავდა მიზნად. ამჟამად, ყველა კომისია დაკომპლექტებულია 17 წევრით: 8 არაპარტიული წევრი, შერჩეული პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე, და

---

<sup>9</sup> საქართველოს მასშტაბით შექმნილია 76 საოლქო საარჩევნო კომისია, მათ შორის სამი საოლქო საარჩევნო კომისია ფარავს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებს. ოკუპირებულ ტერიტორიებზე არჩევნები არ ტარდება.

<sup>10</sup> საქართველოში განთავსებულია 3044 საუბნო საარჩევნო კომისია, მათ შორის 13 სპეციალური საარჩევნო უბანი (12 განთავსებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და 1 ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში). საზღვარგარეთ შეიქმნა 67 საარჩევნო უბანი, 42 ქვეყნის 53 ქალაქში.

9 წევრი, რომლებიც წარდგენილნი არიან საპარლამენტო წარმომადგენლობის მქონე პოლიტიკური პარტიების მიერ.

### ცენტრალური საარჩევნო კომისია (CEC)

ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) შექმნილია როგორც მუდმივი და დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომლის 17 წევრი 5 წლის ვადით ინიშნება. 2024 წელს საარჩევნო კოდექსის სადავო ცვლილებების შედეგად შეიცვალა ცესკოს შემადგენლობა, წევრების დანიშვნის მექანიზმი და ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რაც ძირს უთხრის კონსენსუსზე დაფუძნებულ წევრთა წარდგენის პროცესს<sup>11</sup>. ამ ცვლილებებმა გაზარდა მმართველი პარტიის გავლენა ცესკოს წევრების დანიშვნის პროცესზე. გარდა ამისა, საარჩევნო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა შეცვალა ცესკოში გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რითაც შეასუსტა კოლეგიალურობის კულტურა უწყებაში.<sup>12</sup> ENEMO-სთან საუბრისას ჩართულმა მხარეებმა პოლიტიკური პარტიებიდან და სამოქალაქო საზოგადოებიდან ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ბოლოდროინდელი ცვლილებების შედეგად შემცირდა საერთო ნდობა ცესკოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ.

მთლიანობაში, საარჩევნო პროცესი კარგად ადმინისტრირებული იყო. ცესკო ეფექტურად მუშაობდა ყველა კანონიერი ვადის გათვალისწინებით. ცესკო რეგულარულ სხდომებს მართავდა, რომელიც დროულად ცხადდებოდა დაწესებულების ვებ-გვერდზე. სხდომები პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და აკრედიტებული დამკვირვებლების, პარტიის წარმომადგენლებისა და მედიისთვის ღია გახლდათ. სხდომების შედეგები და მიღებული გადაწყვეტილებები ოპერატიულად ქვეყნდებოდა დაწესებულების ვებგვერდზე. თუმცა, ცესკოს საქმიანობა არ იყო თანმიმდევრულად გამჭვირვალე, ხოლო ზოგიერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია დროულად არ გამოქვეყნდა, ჩართული მხარეების მხრიდან მოთხოვნის მიუხედავად<sup>13</sup>. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიერ

<sup>11</sup> წარდგენის უფლებამოსილება, რომელიც მანამდე საქართველოს პრეზიდენტს ჰქონდა, პარლამენტის თავმჯდომარეს გადაეცა, ხოლო თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, რომელსაც მანამდე ოპოზიცია წარადგენდა, გაუქმდა.

<sup>12</sup> ცვლილებები იძლევა ცესკოს დადგენილების მარტივი უმრავლესობით მიღების საშუალებას, თუ უმრავლესობა ვერ მიიღება ორი მესამედით.

<sup>13</sup> განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 18 ოქტომბერს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს შორის ფუნქციების განაწილებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება საჯაროდ არ გამოცხადებულა, რამაც დამკვირვებლებს შეუზღუდა პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობა. ცესკოს წევრებისა და პოლიტიკური პარტიების არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, საზღვარგარეთ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რიცხვი დროულად არ იყო მიწოდებული.

დანიშნულმა ცესკოს წევრებმა განაცხადეს, რომ უჭირდათ საკვანძო ინფორმაციაზე წვდომა და უთანასწორო მოპყრობას განიცდიდნენ.

### საოლქო საარჩევნო კომისიები

საოლქო საარჩევნო კომისიები (DECs) 5 არაპარტიული წევრისგან შემდგარი მუდმივი ორგანოებია. საარჩევნო პერიოდში მათ ემატება ცესკოს მიერ შერჩეული დამატებით 3 არაპარტიული წევრი და პარლამენტის წარმომადგენლობითი პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილი 9 წევრი. შერჩევის პროცესი წარიმართა გამჭვირვალედ, კანდიდატთა გასაუბრების პირდაპირ ეთერში ტრანსლირებით. თუმცა, როგორც ENEMO აღნიშნავს, შემოსული განაცხადების შეზღუდულმა რაოდენობამ ხელი შეუშალა შერჩევის პროცესის კონკურენტულ გარემოში წარმართვას.<sup>14</sup>

საოლქო საარჩევნო კომისიების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით შემფოთება გამოთქვა ENEMO-სთან საუბრისას ჩართულ მხარეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, რომ პროფესიონალი წევრები მმართველი პარტიის ღია მხარდამჭერები იყვნენ. ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნულმა რამდენიმე წევრმა აღნიშნა ნეგატიური, მტრული სამუშაო გარემო. საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომების ჩანიშვნის შესახებ ინფორმაცია ყოველთვის არ მიეწოდებათ დამკვირვებლებს წინასწარ, რაც ზღუდავს გამჭვირვალობას. ENEMO-ს დამკვირვებლებს ყოველთვის არ ჰქონდათ მარტივი წვდომა საოლქო საარჩევნო კომისიის შენობებზე და, ზოგიერთ შემთხვევაში, თანამშრომლობის ნაკლებობას განიცდიდნენ.

მთლიანობაში, საოლქო საარჩევნო კომისიები თავიანთ მოვალეობებს პროფესიონალურად და ორგანიზებულად ასრულებდნენ, კანონით დადგენილი ვადების ფარგლებში. ENEMO-ს დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის სენსიტიური და არასენსიტიური საარჩევნო მასალების გავრცელების პროცესი საკმაოდ ორგანიზებული იყო და შეუფერხებლად მიმდინარეობდა.

### საუბნო საარჩევნო კომისიები

---

<sup>14</sup> მთლიანობაში, ცესკოში სულ 261 განაცხადი შევიდა 219 ვაკანტურ თანამდებობაზე. 41 საოლქო საარჩევნო კომისიაში (56%) მხოლოდ 3 განაცხადი შევიდა 3 ვაკანტურ თანამდებობაზე.

საუბნო საარჩევნო კომისიები დროებითი ორგანოებია, რომლებიც შედგება 17 წევრისგან<sup>15</sup> და არჩევნებამდე 30 დღით ადრე იქმნება. ამ არჩევნებისთვის საქართველოში 3,044 საუბნო საარჩევნო კომისია შეიქმნა<sup>16</sup>, საზღვარგარეთ კი - 67 საუბნო საარჩევნო კომისია.

საოლქო საარჩევნო კომისიებმა 10 სექტემბერს არაპარტიული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევა, კანონით დადგენილი ვადების შესაბამისად დაასრულეს. თუმცა, საოლქო საარჩევნო კომისიებში შესული განცხადებების რაოდენობა მცირე იყო, რამაც განაპირობა ხელახალი კონკურსის რამდენიმეჯერ გამოცხადება, რაც უარყოფითად აისახა პროცესის კონკურენტუნარიანობაზე.<sup>17</sup> მიუხედავად იმისა, რომ ცესკო განაცხადების მცირე რაოდენობას არაპარტიული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებზე დაწესებულ შეზღუდვებს უკავშირებდა,<sup>18</sup> ENEMO-სთან საუბრისას ჩართული მხარეები აღნიშნავენ, რომ კომისიების მიუკერძოებლობისადმი ნდობის ნაკლებობა, ქვეყანაში გაბატონებული დაშინების კლიმატთან ერთად, ძლიერი შემაკავებელი ფაქტორი იყო.

ENEMO-ს დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ბევრი პოლიტიკური პარტიის კანდიდატი თავს იკავებდა საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობაში მონაწილეობისგან. შემაფერხებელი ფაქტორი იყო ასევე პარტიის მიერ დანიშნული წევრების დაბალი ანაზღაურება, რაც გავლენას ახდენდა კომისიის წევრებს შორის თანასწორობაზე<sup>19</sup>. ENEMO-ს დამკვირვებლებს აცნობეს, რომ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიმართ განხორციელებულმა დაშინებამ და მუქარამ არჩევნების დღემდე რამდენიმე კვირის განმავლობაში გადადგომის შემთხვევების მნიშვნელოვანი რაოდენობა გამოიწვია.

<sup>15</sup> შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ შერჩეული რვა წევრი და საპარლამენტო წარმომადგენლობითი პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული ცხრა წევრი.

<sup>16</sup> მათ შორის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 12 საუბნო საარჩევნო კომისია, ერთი კი ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში განთავსდა.

<sup>17</sup> სულ შევიდა 24 425 განაცხადი, 24 240 ვაკანტურ თანამდებობაზე. ეს მოიცავს 9 111 განაცხადს 9 090 ხელმძღვანელის თანამდებობაზე და 15 314 განაცხადს კომისიის წევრის 15 150 ვაკანტურ თანამდებობაზე. პირველი კონკურსის შემდეგ ვაკანტური დარჩა 193 თანამდებობა.

<sup>18</sup> საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, უპარტიო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ: სახელმწიფო ადმინისტრაციის, სამხედრო, მთავრობის ან პარლამენტის წევრები; კანდიდატი ან კანდიდატის წარმომადგენელი; დამკვირვებელი; მედიის წარმომადგენელი; პირი, რომელმაც იმუშავა პარტიის წარმომადგენლად წინა ორი საარჩევნო პროცესის დროს, ან აფინანსებდა პარტიას არჩევნების წინა 2 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, ყველა პროფესიონალმა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა უნდა გაიაროს სასერტიფიკაციო გამოცდები.

<sup>19</sup> ცესკოს დადგენილების მიხედვით, პროფესიული წევრების ხელფასი თვეში 390 ლარია, ხოლო პარტიის მიერ დანიშნული წევრებისთვის - 260 ლარი. ნაციონალურმა მოძრაობამ აღნიშნულ დადგენილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს შორის საკვანძო ფუნქციების განაწილების პროცესი<sup>20</sup>, რომელიც მანამდე იყო ორგანიზებული არჩევნების დღეს, 18 ოქტომბერს ჩატარდა, ცესკოს სადავო დადგენილების შედეგად, რომელიც ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსს<sup>21</sup>. თარიღი საჯაროდ არ გამოცხადებულა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს პროცესის გამჭვირვალობას. ENEMO-ს დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ წილისყრა ყოველთვის არ ტარდებოდა წესების მიხედვით<sup>22</sup>.

ცესკოს სწავლების ცენტრმა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ხუთეტაპიანი სასწავლო პროგრამა განახორციელა. ENEMO-ს დამკვირვებლებმა სასწავლო სესიები შეაფასეს როგორც კარგად ორგანიზებული და ყოვლისმომცველი. თუმცა, დასწრების მაჩვენებელი პროფესიონალ და პარტიის მიერ დანიშნულ წევრებს შორის ძალიან განსხვავდებოდა<sup>23</sup>.

## საარჩევნო ტექნოლოგიები

2022 წელს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად მოხდა საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვა, რაც მიზნად ისახავს საარჩევნო პროცესების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას და პოტენციური ადამიანური შეცდომების შემცირებას. ამომრჩეველთა ვინაობის გადასამოწმებლად და ხმის მისაცემად რეგისტრაციისთვის, ამომრჩეველთა საიდენტიფიკაციო 7,526 არაბიომეტრიული მოწყობილობის შექმნა მოხდა, აგრეთვე, - 4,865 ოპტიკური ბიულეტენის სკანერის (Precinct Count Optical Scans, ან PCOS), ნამდვილი და ბათილი ბიულეტენების დასათვლელად და კატეგორიზაციისთვის, რაც ხმის მიცემის პროცესის დასრულებისთანავე იძლევა წინასწარი შედეგების გაგების საშუალებას. ამომრჩეველთა საიდენტიფიკაციო მოწყობილობები და PCOS

<sup>20</sup> რეგისტრატორები, ამომრჩეველთა ნაკადის რეგულირებაზე პასუხისმგებელი წევრები, გადასატან საარჩევნო ყუთზე პასუხისმგებელი წევრები.

<sup>21</sup> საარჩევნო კოდექსის 61-ე მუხლი ადგენს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილება უნდა ხდებოდეს არჩევნების დღეს. 2024 წლის აგვისტოში ცესკომ მიიღო დადგენილება (32/2024), რომლის მიხედვითაც აღნიშნული პროცესი უნდა ორგანიზებულიყო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 7 დღისა. პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“ მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

<sup>22</sup> ცესკოს 32/2024 დადგენილება ადგენს, რომ წილისყრაში მონაწილეობა უნდა მიიღოს საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრმა, პროცესზე დასწრების მიუხედავად. ENEMO-ს მიერ დაკვირვებული შემთხვევების 50%-ში მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები იყვნენ ჩართული წილისყრის პროცესში.

<sup>23</sup> სწავლების ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკის მიხედვით, ტრენინგის პირველ ფაზაში (განკუთვნილია მთავარი თანამდებობის პირებისთვის) დასწრების მაჩვენებელი 85%-დან 90%-მდე იყო. მეორე ფაზაზე (გამიზნულია უპარტიო წევრებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის) უპარტიო წევრების დასწრების მაჩვენებელი იყო 82%, ხოლო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების დასწრების საშუალო მაჩვენებელი 46%. ყველაზე დაბალი დასწრების მქონე პოლიტიკური პარტიები იყვნენ “გირჩი” (15%), “მოქალაქეები” (28%) და “მლიერი საქართველო” (36%), განსხვავებით “ქართული ოცნების” წარმომადგენლების (77%), ან “ევროპელი სოციალისტებისგან” (71%). .

გამოიყენებოდა ქვეყნის მასშტაბით 2, 263 უბანზე (საუბნო საარჩევნო კომისიების 74,6%), რაც წარმოადგენს ამომრჩეველთა დაახლოებით 89%-ს შეადგენს.<sup>24</sup>

ENEMO-სთან საუბრისას ჩართულ მხარეთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ მიესალმება ხმის მიცემის ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, რომელთა პილოტირება 2018 წლიდან დაწყებული რამდენიმე ადგილობრივი და შუალედური არჩევნების დროს ჩატარდა. 2023 წლის ივნისიდან დაწყებული, ცესკომ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია ჩატარა.<sup>25</sup> თუმცა, ENEMO-ს დამკვირვებლებმა აღნიშნეს ახალ მოწყობილობებთან დაკავშირებით არსებული მცდარი წარმოდგენების შესახებ, კერძოდ, რომ ოპტიკური ბიულეტენების სკანერებმა შესაძლოა არ უზრუნველყოს ხმის მიცემის ფარულობა.

## ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ხმის მიცემის უფლება 18 წელზე უფროსი ასაკის ყველა მოქალაქეს აქვს, გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდადებულების, სასამართლოს გადაწყვეტილებით ქმედუნაროდ ცნობილი და სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირებისა. ENEMO აღნიშნავს, რომ ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის გამო, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.<sup>26</sup>

ამომრჩეველთა რეგისტრაცია პასიური, ცენტრალიზებული და უწყვეტია. ცესკოს ევალეზა ამომრჩეველთა ერთიანი სიის შედგენა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა (PSDA) და რამდენიმე სახელმწიფო უწყების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამომრჩეველთა სიის განახლება

<sup>24</sup> ხმის მიცემის ახალი ტექნოლოგიები არ იქნება გამოყენებული იმ უბნებზე, სადაც 300-ზე ნაკლები ამომრჩეველია, და/ან მდებარეობს საოლქო საარჩევნო კომისიის შენობიდან 20 კმ-ზე მეტ მანძილზე (768 საარჩევნო უბანი).

<sup>25</sup> 2023 წლის ივნისიდან, ცესკომ ამომრჩეველთა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია დაიწყო, და აღნიშნა, რომ 500 000-ზე მეტ ამომრჩეველს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა ხმის მიცემის ახალ მოწყობილობებს. 11 სექტემბერს 598 საარჩევნო უბანზე იმიტირებული არჩევნები მოეწყო, რამაც 122 864 ამომრჩეველს საშუალება მისცა ახალ მოწყობილობებს გაცნობოდა.

<sup>26</sup> გაეროს 2006 წლის შშმ პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 29, აცხადებს, რომ უნდა გადაიდგას ნაბიჯები იმისათვის, რომ "უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარი, ეფექტური და სრულყოფილი მონაწილეობა, უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების საშუალებით, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას ხმა მისცენ და კენჭი იყარონ (არჩეული იქნენ)". გარდა ამისა, CRPD კომიტეტის 2013 წლის კომუნიკე No. 4/2011, პუნქტი. 9.4 ხაზს უსვამს, რომ „ხმის უფლების გამორიცხვა აღქმული ან ფაქტიური ფსიქოსოციალური ან ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე, მათ შორის შეზღუდვა ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, წარმოადგენს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე, კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით“.



წელიწადში ოთხჯერ და არჩევნებამდე ხდება. ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩეველთა საბოლოო რაოდენობაა 3,508,294. ENEMO-სთან საუბრისას ჩართულ მხარეებს რაიმე მნიშვნელოვანი შეშფოთება ამომრჩეველთა სიის სიზუსტესთან და ინკლუზიურობასთან დაკავშირებით არ გამოუთქვამთ.

ამომრჩეველებს რამდენიმე გზა ჰქონდათ საკუთარი თავის ამომრჩეველთა ერთიან სიაში შემოწმებისთვის და შესწორებების მოსათხოვნად, მათ შორის ცესკოს ვებსაიტზე, სპეციალური მობილური აპლიკაციისა და სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით<sup>27</sup>. ამომრჩეველთა წინასწარი სიები საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე 26 სექტემბერს გამოქვეყნდა, რათა ამომრჩეველებს ჰქონოდათ როგორც შემოწმების ასევე შესწორების მოთხოვნის საშუალება 8 ოქტომბრამდე. ამომრჩეველთა ერთიანი სიები ასევე ხელმისაწვდომი იყო რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიებისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის.<sup>28</sup>

კენჭისყრისთვის აუცილებელი დოკუმენტებია მოქმედი (არა ვადაგასული) ელექტრონული ან არაელექტრონული პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და პასპორტები. 2023 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელითაც 2024 წლის ივლისიდან,<sup>29</sup> 2011 წლის ივლისამდე გაცემული, ე.წ. „ლამინირებული“ პირადობის მოწმობები, რომელთა ფალსიფიკაცია შესაძლებელია, გაუქმდა. ამ გადაწყვეტილების შემდეგ, იუსტიციის სამინისტრომ უფასოდ უზრუნველყო ძველი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ახლით ჩანაცვლება<sup>30</sup>. თუმცა, PDSA-ს თანახმად, სულ 199,109 ამომრჩეველს არ გააჩნდა მოქმედი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით და, შესაბამისად, მათ ჩამოერთვათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

საზღვარგარეთ მცხოვრებ ამომრჩეველებს შესაძლებლობა ჰქონდათ 2024 წლის 7 ოქტომბრამდე დარეგისტრირებულიყვნენ დიპლომატიურ წარმომადგენლობებში ან საკონსულოებში. მთლიანობაში დარეგისტრირდა 95, 910 ამომრჩეველი, რაც წინა საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით 45%-იან ზრდაზე მიუთითებს<sup>31</sup>. ცესკომ ქმედითი რეაგირება მოახდინა საზღვარგარეთ მცხოვრები ოკუპირებული

<sup>27</sup> ცესკოს ინფორმაციით, ამომრჩეველებმა ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული ინფორმაცია ცესკოს ვებგვერდისა და მობილური ტელეფონის საშუალებით 1 311 773-ჯერ გადაამოწმეს, ხოლო სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით - 29 277-ჯერ.

<sup>28</sup> მთელი საარჩევნო წლის განმავლობაში საარჩევნო ადმინისტრაციისგან ამომრჩეველთა ერთიანი სიის გამოითხოვა ოთხმა პოლიტიკურმა პარტიამ და ორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ.

<sup>29</sup> 2023 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს 266, 915 მოქალაქეს ჰქონდა ე.წ. „ლამინირებული“ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

<sup>30</sup> სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით, 2023 წლის 15 დეკემბრიდან 2024 წლის 10 ივნისამდე პერიოდის განმავლობაში, სააგენტოს 100,464-მა მოქალაქემ მიმართა მოქმედი არაელექტრონული პირადობის დამადასტურებელი მოწმობის შეცვლის მიზნით.

<sup>31</sup> 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის სულ 66, 217 ამომრჩეველი დარეგისტრირდა, 50 საუბნო საარჩევნო კომისია გაიხსნა 38 ქვეყანაში.

ტერიტორიებიდან ჩამოსული მოქალაქეების საკითხზე, რითაც მათ საშუალება მიეცათ ამომრჩეველთა სპეციალურ სიებში მოხვედრილიყვნენ<sup>32</sup>. ცესკომ მიიღო გადაწყვეტილება 42 ქვეყანაში 67 საუბნო საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ, მათგან 5 ქვეყანაში, არჩევნები პირველად ჩატარდება, კანონიერი ვალდებულებების შესაბამისად<sup>33</sup>. თუმცა ეს გადაწყვეტილება მკაცრად გააკრიტიკეს ოპოზიციურმა პარტიებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, რომლებიც მხარს უჭერდნენ საუბნო საარჩევნო კომისიების გახსნას დამატებით ქალაქებში, ნაცვლად საუბნო საარჩევნო კომისიების მხოლოდ საელჩოებსა და საკონსულოებში შექმნისა.

## კანდიდატთა რეგისტრაცია

---

კანდიდატად კენჭისყრის უფლება ენიჭებათ 25 წელზე უფროსი ასაკის საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველოში უცხოვრიათ არანაკლებ 10 წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ ჩამოერთვათ ხმის უფლება ან მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული ბინადრობის მოთხოვნა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს და კარგ პრაქტიკას.<sup>34</sup> მოქმედი საარჩევნო სისტემა არ აძლევს კანდიდატებს დამოუკიდებლად კენჭისყრის უფლებას, რაც ასევე ეწინააღმდეგება დემოკრატიული არჩევნების საერთაშორისო ვალდებულებებსა და სტანდარტებს.<sup>35</sup>

საპარლამენტო წარმომადგენლობით და მის გარეშე პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციისთვის განსხვავებული პირობები მოქმედებს. საპარლამენტო წარმომადგენლობის არმქონე პოლიტიკურ პარტიებს 15 ივლისამდე უნდა მიემართათ ცესკოსთვის და წარედგინათ 25,000 ხელმოწერა მათი განაცხადის მხარდასაჭერად.<sup>36</sup> განაცხადი სულ 30-მა პოლიტიკურმა პარტიამ შეიტანა, რომელთაგან 17 ცესკომ

---

<sup>32</sup> ამომრჩეველთა სიაში ვერ მოხვდნენ საზღვარგარეთ მცხოვრები ის ამომრჩეველები, რომელთა რეგისტრაციის მისამართი ოკუპირებულ ტერიტორიებზეა, ან უცნობია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით; ცესკოს დადგენილება 07/10-ის თანახმად, ასეთი ამომრჩეველები საელჩოებისა და საკონსულოების ამომრჩეველთა სპეციალურ სიას დაემატა.

<sup>33</sup> საარჩევნო კოდექსის 27.7 მუხლი: საზღვარგარეთ საარჩევნო უბნებს ადგენს ცესკო [...] არანაკლებ 50 და არაუმეტეს 3000 ამომრჩეველსა.

<sup>34</sup> ICCPR, GC 25: "პირები, რომლებსაც აქვთ კენჭისყრის უფლება არ უნდა გამოირიცხონ არაგონივრული ან დისკრიმინაციული მოთხოვნების გამო, როგორცაა განათლება, საცხოვრებელი ადგილი ან წარმომავლობა, ან პოლიტიკური კუთვნილება". ევროპული კომისიის სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია) საბჭოს საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსი I.1.1.c.iii. ადგენს: "ბინადრობის მოთხოვნა შესაძლოა დაწესდეს მხოლოდ მოქალაქეებზე ადგილობრივი ან რეგიონული არჩევნებისთვის".

<sup>35</sup> ICCPR, GC 25: არჩევნებში მონაწილე პირთა უფლება არ უნდა შეიზღუდოს უსაფუძვლო მოთხოვნით, რომ კანდიდატები იყვნენ პარტიების ან კონკრეტული პარტიების წევრები".

<sup>36</sup> რაც შეადგენს ამომრჩეველთა 1%-ზე ნაკლებს, კარგი პრაქტიკის შესაბამისად.

დაარეგისტრირა. ცესკომ არ დააკმაყოფილა ორი განცხადება<sup>37</sup> და ასევე 11 სია, რომლებიც არ პასუხობდა საკანონმდებლო მოთხოვნებს.<sup>38</sup> საპარლამენტო წარმომადგენლობის მქონე პოლიტიკურ პარტიებს ცესკოში განაცხადების წარდგენა 30 აგვისტომდე შეეძლოთ და ხელმოწერების წარდგენა არ მოეთხოვებოდათ. 10 პოლიტიკურმა პარტიამ მიმართა და დარეგისტრირდა ცესკოში.

რეგისტრირებული 27 საარჩევნო სუბიექტიდან 19-მა პარტიული სია კანონით დადგენილ ვადებში (26 სექტემბერი) წარადგინა, ხოლო მათგან 18 სია ცესკომ დაარეგისტრირა.<sup>39</sup> კანდიდატებს არ მიეცათ სხვა პარტიის სიით კენჭისყრის უფლება, თუ ისინი ოფიციალურად არ შეცვლიდნენ ან შეაჩერებდნენ მათი პარტიის წევრობას. ENEMO აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პარტიებისა და კანდიდატების რეგისტრაციის პროცესი გამჭვირვალე და ინკლუზიური იყო, ეს შეზღუდვა ხელს უშლის გაერთიანების თავისუფლებას.

## საარჩევნო კამპანია და კამპანიის დაფინანსება

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, კამპანია ოფიციალურად კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე იწყება. 26 ოქტომბრის საარჩევნო კამპანია ოფიციალურად 2024 წლის 27 აგვისტოს დაიწყო და დასრულდა 2024 წლის 26 ოქტომბერს. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კამპანიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა საპარლამენტო სტატუსის მქონე პარტიებისთვის წინასაარჩევნო კამპანიის თანაბარ შესაძლებლობებს ითვალისწინებს, მარეგულირებელი ორგანოები ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების შემთხვევაში კამპანიის შეზღუდვებს ფართო ინტერპრეტაციას უკეთებდნენ.

ყველა პოლიტიკური პარტიის კამპანიის მთავარი ინსტრუმენტები იყო კარდაკარ აქტივობები, დემონსტრაციები და ბილბორდები, ხოლო მცირე პარტიები თითქმის მხოლოდ სოციალურ მედიას ეყრდნობოდნენ. ბილბორდები მმართველი პარტიის მიერ არაპროპორციულად გამოიყენებოდა მაგალითებით, როდესაც მთავარი სარეკლამო კომპანია ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების რეკლამების

<sup>37</sup> ერთ შემთხვევაში, პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციის გაუქმების გამო; მეორეში, პარტიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის გამო.

<sup>38</sup> ოთხმა პოლიტიკურმა პარტიამ არ წარადგინა საჭირო 25000 ხელმოწერა, ხოლო ხუთმა პოლიტიკურმა პარტიამ წარადგინა მხარდამჭერთა სიები, რომლებიც შეცდომებს შეიცავდა. მიუხედავად იმისა, რომ კანონი სამდღიან ვადას ითვალისწინებს შესწორებისთვის, არცერთ პოლიტიკურ პარტიას დადგენილ ვადაში არ წარუდგენია შესწორებული დოკუმენტები. ორ შემთხვევაში პოლიტიკური პარტიების თავმჯდომარეს უფლებამოსილება განცხადების შეტანისას შეუწყდა.

<sup>39</sup> საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ წარდგენილ სიაში იყო ხარვეზები, რომლებიც კანონიერ ვადაში არ გამოსწორდა.

შინაარსზე კამათობდა<sup>40</sup>. წინასაარჩევნო აქტივობები ძირითადად რეგიონებში მიმდინარეობდა, ხოლო თბილისში კამპანია წინასაარჩევნოდ ერთი კვირის წინ გააქტიურდა. მასშტაბური აქციები გაიმართა მმართველი პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ<sup>41</sup>. არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 23 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ აქციას საჯარო მოხელეები ორგანიზებულად ესწრებოდნენ<sup>42</sup>, 20 ოქტომბერს სამოქალაქო საზოგადოების მიერ ორგანიზებულ აქციას კი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ფართო მასშტაბით ესწრებოდნენ და ხილვადებიც იყვნენ.

საარჩევნო კამპანია ძალიან პოლარიზებული იყო. გეოპოლიტიკური თემები ცენტრალური იყო როგორც ოპოზიციის, ისე მმართველი პარტიის გზავნილებში, სადაც ოპოზიცია არჩევნებს ასახავდა როგორც არჩევანი რუსეთსა და ევროკავშირს შორის, ხოლო მმართველი პარტია კი როგორც არჩევანი ომსა და მშვიდობას შორის. რუსეთის შეჭრა უკრაინაში<sup>43</sup>, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობა<sup>44</sup>, ლგბტ+ უფლებები<sup>45</sup> და არჩევნების შემდეგ წამყვანი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის აკრძალვის მუქარა მმართველი პარტიის ანტიდასავლური რიტორიკის მხარდასაჭერად ინსტრუმენტალიზდდა<sup>46</sup>. ENEMO მიიჩნევს, რომ ამ რიტორიკამ არსებული სოციალური დაძაბულობა გააძლიერა და კამპანიის დროს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერების ფსონები გაზარდა.

---

<sup>40</sup> „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ENEMO-ს განუცხადა, რომ სარეკლამო ბილბორდების კომპანია „ალმამ“ თავდაპირველად უარი თქვა „ნაციონალური მოძრაობის“ ბილბორდების განთავსებაზე, სადაც ეწერა „მოიშორე ბიძინა ივანიშვილი“. შემდგომში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ENEMO-ს აცნობა, რომ საკითხი გადაიჭრა.

<sup>41</sup> 2024 წლის 20 ოქტომბერს გამართული აქციის ორგანიზატორები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები “ჩემი ხმა ევროკავშირს”, “საფარი”, “საქართველოს ევროპული ორბიტა”, “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი”, “სამოქალაქო საზოგადოების ფონდი”, “საქართველოს მომავლის აკადემია”, “ევროკლუბი ყვარელი”, “საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო”, “სამოქალაქო მოძრაობა თავისუფლებისთვის”, “დემოკრატიის მცველები” და “საქართველოს სასამართლოს გულშემაგი”.

<sup>42</sup> ENEMO სამუშაო საათებში გორის მუნიციპალიტეტის შენობიდან “ქართული ოცნების” კამპანიის აქციაზე საჯარო მოხელეების ორგანიზებულ ტრანსპორტირებას დააკვირდა.

<sup>43</sup> „ქართული ოცნების“ ბილბორდ-რეკლამები უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგად განადგურებულ უკრაინულს სკოლებს, რელიგიურ ღირსშესანიშნაობებსა და საგზაო ინფრასტრუქტურას ქართულ ქალაქებს ადარებს.

<sup>44</sup> „ქართული ოცნების“ ვიდეო რეკლამაში სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები და აქტივისტები ქართული საზოგადოების „მორალური დეგრადაციის“ მაგალითებად იყვნენ მოხსენიებული.

<sup>45</sup> კანონი “ოჯახური ფასეულობებისა და არასრულწლოვანთა დაცვის” შესახებ ვენეციის კომისიის უარყოფითი დასკვნის მიუხედავად 17 სექტემბერს მიიღეს. სხვა საკითხებთან ერთად, კანონი შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის უფლებას უკრძალავს ყველას, გარდა დაქორწინებული წყვილებისა და ჰეტეროსექსუალური პირებისა, ის ასევე კრძალავს სამედიცინო ჩარევებს, რომლებიც მიმართულია სქესის შეცვლაზე და ნებას რთავს ქორწინებას მხოლოდ ბიოლოგიურ მამაკაცსა და ქალს შორის. იხილეთ [ვენეციის კომისიის აზრი CDL-AD\(2024\)021](#) კანონპროექტის შესახებ, გამოქვეყნებული 2024 წლის 25 ივნისს.

<sup>46</sup> ტელეკომპანია „იმედთან“ ბოლო ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილმა გაიმეორა, რომ აპირებს „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვას, თუ “ქართული ოცნება” საკონსტიტუციო უმრავლესობას მიიღებს. იხილეთ მეტი [Civil.ge](#)-ზე.

მიუხედავად იმისა, რომ კამპანია ძირითადად მშვიდობიანი იყო, დაფიქსირდა პოლიტიკური პარტიების კამპანიის აქტივისტების შევიწროების, ასევე პოლიტიკური პარტიების შენობებზე თავდასხმების შესახებ ცნობები. ENEMO შეშფოთებას გამოთქვამს მოქალაქეთა პირადობის მოწმობების ჩამორთმევის შესახებ გავრცელებულ ბრალდებებზე, პრაქტიკა, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს<sup>47</sup> და არღვევს მოქალაქეთა ხმის მიცემის უფლებებს.

ENEMO შეშფოთებას გამოთქვამს მმართველი პოლიტიკური პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსების კამპანიის მიზნებისთვის გამოყენებაზე. ENEMO-მ დააფიქსირა საჯარო მოხელეებზე ზეწოლის შემთხვევები, დასწრებოდნენ მმართველი პარტიის კამპანიის აქტივებს, ასევე ცნობები ამომრჩევლების ორგანიზებისა და მათზე ზეწოლის მიზნით განათლების სექტორის ფართო გამოყენების თაობაზე<sup>48</sup>. გავრცელებული იყო ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების გამოცხადება და ადგილობრივი ადმინისტრაციის მმართველი პარტიის კამპანიებში ჩართვა, განსაკუთრებით ტრანსპორტის სექტორის<sup>49</sup>. გარდა ამისა, მისიას ამომრჩევლებზე ზეწოლის მიზნით სოციალური სერვისების გამოყენების შესახებ ეცნობა<sup>50</sup>, რაც მნიშვნელოვან შეშფოთებას იწვევს მოწყვლადი ჯგუფების საარჩევნო მიზნებისთვის ექსპლუატაციის კუთხით.

ENEMO ასევე ძლიერ შეშფოთებას გამოხატავს იმის გამო, რომ 3 კვალიფიციურ პოლიტიკურ პარტიას, “მოქალაქეებს”, “ევროპულ საქართველოს” და “სტრატეგია აღმაშენებელს”, უფასო საეთერო დროის საშუალებით კამპანიაზე წვდომა შეეზღუდათ<sup>51</sup>. მმართველი პარტიის კრიტიკული ვიდეოებისთვის 3 პოლიტიკური პარტია ცნეს როგორც სხვა საარჩევნო სუბიექტისთვის კამპანიის მწარმოებელი, მას შემდეგ, რაც მათ განაცხადეს, რომ სხვა საარჩევნო სიებს შეუერთდებოდნენ. თუმცა, წინასაარჩევნო კოალიციების აკრძალვის გამო, ისინი არც საარჩევნო სიებში იყვნენ აღიარებულნი როგორც ერთეული და ფაქტობრივად პარლამენტის სტატუსის საფუძველზე შექმნილ უფასო საეთერო დროზეც ხელმისაწვდომობა დაკარგეს. ვინაიდან ამ პარტიების სამართლებრივი სტატუსი არ შეცვლილა და მათ ჯერ კიდევ შეეძლოთ საარჩევნო სიის წარდგენა იმ დროს, როდესაც მათ უფასო საეთერო დრო შეეზღუდათ, ENEMO მიიჩნევს, რომ შეზღუდვა გაუმართლებელი იყო და ხელისუფლების კრიტიკას ახშობდა.

<sup>47</sup> იხილეთ ვენეციის კომისიის [კარგი პრაქტიკის კოდექსი საარჩევნო საკითხებში](#)

<sup>48</sup> [სახალხო დამცველმა გამოაქვეყნა](#) 2024 წლის 7 ოქტომბრისთვის გამოძიებული საქმეების მიმოხილვა, რომელიც მოიცავდა არაერთ ცნობას განათლების სექტორში დარღვევების შესახებ. ეს საკითხი ასევე წამოიჭრა ENEMO-ს მრავალმა თანამოსაუბრემ ENEMO-ს გრძელვადიანი დაკვირვების პროცესში.

<sup>49</sup> სხვა მაგალითებთან ერთად, ENEMO-მ დააფიქსირა “ქართული ოცნების” წარმომადგენლების დასწრება თბილისის მერის მიერ საბაგირო გზის გახსნაზე და უფასო ტრანსპორტის ბილეთების დარიგება ზესტაფონში.

<sup>50</sup> ამ პრაქტიკის მაგალითები ENEMO-მ ხარაგაულში დააფიქსირა.

<sup>51</sup> საარჩევნო კოდექსის 186-ე მუხლის მე-6 პუნქტი სუბიექტებს უკრძალავს მაუწყებელზე განათავსონ რეკლამა, რომელიც სარეკლამო ვადაში სხვა საარჩევნო სუბიექტის აგიტაციურ მიზნებს ემსახურება.

კიდევ ერთ პოლიტიკურ პარტიას, “საქართველოსთვის”, უარი ეთქვა უფასო საეთერო დროზე, მიუხედავად იმისა, რომ კვალიფიციური სტატუსის მისაღებად იურიდიულ პირობებს აკმაყოფილებდა<sup>52</sup>. ENEMO მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაშიც, საარჩევნო სუბიექტების უფლებების უგულვებელყოფის პრაქტიკა არაპროპორციულად იქნა გამოყენებული ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიმართ და მმართველი პარტიის კრიტიკის სივრცის შემცირებაზე გავლენა იქონია.

## კამპანიის დაფინანსება

საქართველოს საარჩევნო კოდექსი საარჩევნო კამპანიების კერძო და საჯარო დაფინანსების საშუალებას იძლევა. 2024 წელს კამპანიის დაფინანსების რეგულაციაში შეტანილმა ცვლილებებმა იურიდიული პირების შემოწირულება აკრძალა. ყველა პოლიტიკური პარტია, რომელმაც 2020 წლის არჩევნებზე საპარლამენტო სტატუსი მოიპოვა, “ლელოსა” და “ლეიბორისტული პარტიის” გარდა<sup>53</sup>, სახელმწიფო დაფინანსებით სარგებლობდა. ახალმა პოლიტიკურმა პარტიებმა განაცხადეს, რომ კამპანიის თანხების მოზიდვა უჭირდათ და ეყრდნობოდნენ ფიზიკური პირების შემოწირულებებს, რომელიც 60 000 ლარს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ძირითადად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, მესამე მხარის დაფინანსება ჯერ კიდევ არ არის რეგულირებული.

საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, შეიქმნა ანტიკორუფციული ბიურო, როგორც მთავარი მარეგულირებელი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია კამპანიის ფინანსურ ზედამხედველობაზე. ყველა პოლიტიკურმა პარტიამ თავისი ანგარიშები კამპანიის ხარჯების შესახებ ანტიკორუფციულ ბიუროს წარუდგინა, რომელმაც დროულად გამოაქვეყნა ანგარიშები<sup>54</sup>. ანტიკორუფციულმა ბიურომ საარჩევნო კონკურსანტების სუბიექტების ფართო შიდა მონიტორინგი ჩაატარა და დიდი მოცულობის მონაცემები მოითხოვა, მათ შორის ანგარიში 2024 წლის 1

<sup>52</sup> საარჩევნო კოდექსის 186-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, მაუწყებელი უფლებამოსილია პოლიტიკური პარტია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს, თუ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მიხედვით, პარტია სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 4%-ის მხარდაჭერით არჩევნების წელს არანაკლებ ხუთ ან არჩევნების დღემდე ერთი თვის განმავლობაში ჩატარებულ გამოკითხვებში.

<sup>53</sup> “ლელომ” და “ლეიბორისტულმა პარტიამ” დაკარგეს სახელმწიფო დაფინანსება 2022 წელს, 2020 წლის საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, რომელმაც შემოიღო წესი, რომ პოლიტიკურ პარტიებს არ უნდა მიეღოთ სახელმწიფო დაფინანსება, თუ მათი წარმომადგენლები არ მიიღებენ მონაწილეობას წინა სესიის პლენარული სხდომების ნახევარზე მეტში მაინც (პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის 30-ე მუხლი). “ლელომ” დაკარგა სახელმწიფო დაფინანსებაზე წვდომა იმის გამო, რომ ერთ-ერთი დეპუტატი სისხლის სამართლის საქმეზე გასამართლა, ხოლო მეორე დეპუტატს სტატუსი პირადი მიმართვით შეუწყდა, ხოლო “ლეიბორისტული პარტიის” დეპუტატმა პარლამენტის მუშაობას ბოიკოტი გამოუცხადა.

<sup>54</sup> 7 ოქტომბრის მდგომარეობით ყველაზე მეტი შემოწირულობა მმართველმა პარტიამ “ქართულმა ოცნებამ” დააფიქსირა - 6,5 მილიონი ლარი, შემდეგ მოდის “კოალიცია ცვლილებისთვის” - 5,6 მილიონი ლარი, “მლიერი საქართველო” - 5,1 მილიონი ლარი, “ერთობა” - 1,1 მილიონი ლარი და “საქართველოსთვის” - 185,845 ლარი.

იანვრიდან აგვისტომდე პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ, რომელიც ნაწილობრივ კამპანიის პერიოდის მიღმა იყო. „გირჩი - მეტი თავისუფლებამ“ ანგარიში არ წარადგინა და ამისთვის დაჯარიმდა.

პირველად, ანტიკორუფციულმა ბიურომ გამოიყენა სამართლებრივი დებულება, რომელიც საშუალებას აძლევს არასაარჩევნო სუბიექტებს დეკლარირებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტებად იქნენ აღიარებული<sup>55</sup> და, შესაბამისად, ისევე იყვნენ ანგარიშვალდებულნი კამპანიის ხარჯებზე, როგორც პოლიტიკური პარტიები. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, მისი აღმასრულებელი დირექტორი, „აირჩიე ევროპა“, მისი აღმასრულებელი დირექტორი და გამგეობის ყველა წევრი „დეკლარირებული პოლიტიკური მიზნის მქონე სუბიექტებად“<sup>56</sup> გამოცხადდა პრო-ევროპული ან არჩევნებში მაღალი აქტივობის წამახალისებელი განცხადებებისა და ღონისძიებების გამო. მიუხედავად იმისა, რომ კანონი სუბიექტებს არჩევნებში მონაწილეობის განზრახვის გამოცხადებას ავალდებულებს<sup>57</sup>, ანტიკორუფციულმა ბიურომ დაასკვნა, რომ ეს მოძრაობები და ორგანიზაციები კამპანიას ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისთვის აწარმოებდნენ. ENEMO აღნიშნავს, რომ კანონის ფართო ინტერპრეტაციამ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები გადაჭარბებულ შემოწმებასა და არასათანადო სამართლებრივ პასუხისმგებლობას დაუქვემდებარა.

პრემიერ-მინისტრის განცხადების შემდეგ<sup>58</sup> ანტიკორუფციულმა ბიურომ გააუქმა გადაწყვეტილება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“-ს, „აირჩიე ევროპა“-ს და მათთან ასოცირებული პირების „დეკლარირებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტად“ გამოცხადების შესახებ<sup>59</sup>, რამაც გააძლიერა ENEMO-სთან მოსაუბრე ჩართულ მხარეთა მიერ წამოჭრილი შეშფოთება იმის შესახებ, რომ ანტიკორუფციული ბიურო მთავრობისგან დამოუკიდებლად არ მუშაობს.

გარდა ამისა, ანტიკორუფციულმა ბიურომ არ დააზუსტა, გავრცელდებოდა თუ არა „უცხოური გავლენის შესახებ“ კანონი დეკლარირებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტებად გამოცხადებულ ორგანიზაციებზე, თუ ისინი საქართველოს ფარგლებს

<sup>55</sup> პოლიტიკური გაერთიანებების კანონის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ამ თავით განსაზღვრული პარტიასთან მიმართებაში არსებული შეზღუდვები ასევე ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც განაცხადეს საარჩევნო მიზნები და რომლებიც იყენებენ შესაბამის ფინანსურ და სხვა მატერიალურ რესურსებს ამ მიზნების მისაღწევად“.

<sup>56</sup> იხილეთ 2024 წლის 24 სექტემბერს ანტიკორუფციული ბიუროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება 03/028-24, ხელმისაწვდომია აქ: <https://acb.gov.ge/ka/news/antikoruftsuli-biuross-ufosis-2024-tslis-24-sektembris-gadatsqveteleba>

<sup>57</sup> კანონის 71-ე მუხლში მოცემულია „გაცხადებული საარჩევნო მიზნის“ შემდეგი განმარტება: დეკლარირებული საარჩევნო მიზანი არის ფაქტობრივი მდგომარეობა, როდესაც კონკრეტულ სუბიექტს აქვს აშკარა სურვილი არჩევნებში მონაწილეობით ხელისუფლებაში მოვიდეს. ასეთი განცხადება უნდა გაკეთდეს საჯაროდ და მიმართული იყოს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისკენ.

<sup>58</sup> პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ანტიკორუფციულ ბიუროს მოუწოდა გააუქმოს გადაწყვეტილება „სახელმწიფოს ინტერესების“ დასაცავად, ამავდროულად გააძლიერა მოსაზრება, რომ ეს გადაწყვეტილება სრულიად კანონიერი იყო.

<sup>59</sup> ანტიკორუფციულმა ბიურომ თავისი გადაწყვეტილების გაუქმება 2024 წლის 2 ოქტომბერს გამოაცხადა.

გარეთ არსებული სუბიექტების მიერ ფინანსდებიან. ENEMO შეშფოთებას გამოთქვამს, რომ ეს მნიშვნელოვან სამართლებრივ გაურკვევლობას ქმნის საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმის მიმართ, გაერთიანების თავისუფლებაზე უარყოფითი ზემოქმედების პოტენციალით.

## მედია

მედია გარემო მრავალფეროვანია, მაგრამ არა დამოუკიდებელი პოლიტიკური გავლენისგან. კერძო მედიის მფლობელები და მეწილეები ხშირად პოლიტიკური პარტიების მთავარი დონორებიც არიან<sup>60</sup>. გარემო ხელსაყრელი არ არის კერძო საკუთრებაში არსებული მედია საშუალებების ფინანსური მდგრადობისთვის, რომელთაგან ყველამ აღნიშნა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სწრაფი საკანონმდებლო რეფორმების შემდეგ კომერციული შემოსავალი მნიშვნელოვნად შეუმცირდათ<sup>61</sup>. წინასაარჩევნო მედიაგარემოზე დიდი გავლენა მოახდინა არჩევნების წინ განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, მათ შორის ჟურნალისტების შევიწროების შესახებ ცნობებმა<sup>62</sup> და ჟურნალისტების მიმართ ძალადობის საქმეების გამოძიების შეზღუდულმა გამოცდილებამ<sup>63</sup>.

პოლიტიკური პარტიების პოლიტიკური რეკლამებისთვის უფასო საეთერო დროის პატივისცემა ნაწილობრივ დაცული იყო. რამდენიმე მედიასაშუალებამ უარი განაცხადა „ქართული ოცნების“ რეკლამის გაშვებაზე<sup>64</sup>, მას შემდეგ რაც მათმა იურიდიულმა გუნდებმა შეაფასეს შეიცავდა თუ არა რეკლამა სიძულვილის ენას. ზოგიერთი მედია მარეგულირებლისგან პროაქტიულად ითხოვდა განემარტა შეიცავდა თუ არა რეკლამა სიძულვილის ენას. პირველ შემთხვევაში მედიასაშუალებები ორჯერ დაჯარიმდნენ რეკლამის გაშვებაზე უარის თქმის გამო,

<sup>60</sup> ამის მაგალითებია “მთავარი არხი”, “ფორმულა”, “პოსტე”, “იმედი”, რომელთა მფლობელებიც, ცნობილია, რომ პოლიტიკური პარტიების შემომწირველებიც არიან. დამატებითი ინფორმაცია კერძო მედიის საკუთრების სტრუქტურების შესახებ ხელმისაწვდომია [საჯარო რეესტრის ვებსაიტზე](#).

<sup>61</sup> აკრძალულია აზარტული თამაშების შემცველი კომერციული რეკლამები, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში დაინერგა ეტაპობრივი განხორციელების ნაცვლად და მედიას არ მიეცა დრო მოერგო ფინანსური მოდელები.

<sup>62</sup> იხილეთ მედიის თავისუფლების სწრაფი რეაგირების (MFRR) კონსორციუმის ფაქტების დამდგენი მისიის [განცხადება](#).

<sup>63</sup> იხილეთ მეტი Human Rights Watch-ის ანგარიშში, ხელმისაწვდომი აქ: <https://www.hrw.org/news/2024/08/20/georgia-violent-attacks-government-critics>

<sup>64</sup> „ქართული ოცნების“ რეკლამის გაშვებაზე უარი თქვეს ტელეკომპანიებმა “მთავარი არხი”, “ტვ პირველი” და “ფორმულა”. მათ აცნობეს ENEMO-ს, რომ ეს გადაწყვეტილება მათი შიდა იურიდიული გუნდის მიერ “ქართული ოცნების” რეკლამის სამართლებრივ ანალიზს ეფუძნებოდა, რომლებმაც დაადგინეს, რომ რეკლამა არღვევს სიძულვილის ენის რეგულაციას.



ხოლო მეორე შემთხვევაში მარეგულირებელმა დაიკავა პოზიცია<sup>65</sup>, რომ მას არ გააჩნია მანდატი, პროაქტიულად შეაფასოს ინდივიდუალური რეკლამის შესაბამისობა კამპანიის რეგულაციებთან<sup>66</sup>. ENEMO აღნიშნავს, რომ მარეგულირებლის ეს პოზიცია მედიასაშუალებებისთვის ფინანსური ხარჯების რისკს გაზრდის და მედიას სიძულვილის ენის შესაფასებლად არაპროპორციულ ტვირთს ადებს.

პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც კანონიერი საფუძველი ჰქონდათ, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების საფუძველზე უფასო საეთერო დროისთვის აუცილებელი კვალიფიციური სტატუსი მოეთხოვათ, ამ უფლებით სარგებლობის საშუალება არ მიეცათ. კერძოდ, ComCom-მა გამოსცა ადმინისტრაციული ოქმი TV ფორმულას წინააღმდეგ პოლიტიკური პარტია „გახარია - საქართველოსთვის“ თავისუფალი დროის დათმობის გამო იმის საფუძველზე, რომ მას ჰქონდა 4%-ზე მეტი მხარდაჭერა საარჩევნო წელს<sup>67</sup> და წინასაარჩევნო კამპანიის წინა თვეში ჩატარებულ გამოკითხვებში. ComCom ამტკიცებდა, რომ ოქმი ეფუძნებოდა იმ დასკვნას, რომ მედიამ ადეკვატურად არ შეისწავლა გამოკითხვის მეთოდოლოგია. ENEMO აღნიშნავს, რომ იმის გამო, რომ ComCom-ს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა გამოქვეყნების მომენტში კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებია, მისი სამართლებრივი ვალდებულებით, პროაქტიულად შეემოწმებინა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის კანონმდებლობასთან შესაბამისობა, პარტიას „გახარია - საქართველოსთვის“ გაუმართლებლად შეეზღუდა უფასო საეთერო დრო<sup>68</sup>.

ფასიან რეკლამაზე წვდომა მხოლოდ ნაწილობრივ იქნა დაცული. ტელეკომპანია „იმედმა“ და „რუსთავი 2-მა“ ყველა პოლიტიკურ პარტიას წაართვეს ფასიან რეკლამაზე წვდომა, რათა მათ ტელეარხზე და მის მიღმა პოლიტიკური რეკლამის მრავალფეროვნება დაეზღუდა. ENEMO შემფოთებას გამოთქვამს ფასიანი პოლიტიკური რეკლამის სარედაქციო პოლიტიკაზე პოლიტიკური გავლენის

<sup>65</sup> ტელეკომპანიებმა „ფორმულა“, „მთავარი არხი“ და „ტვ პირველი“ ComCom-ს სთხოვეს განემარტა, შეიცავდა თუ არა „ქართული ოცნების“ რეკლამები, რომელთა განთავსებასაც ეთერში ითხოვდა, შეიცავდა თუ არა სიძულვილის ენას ან ძალადობისა და ეთნიკური სიძულვილის გაღვივებას.

<sup>66</sup> ComCom-მ ENEMO-ს აცნობა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ სამართლებრივი ვალდებულება, დაარეგულირონ სიძულვილის ენის გამოყენება საარჩევნო კამპანიაში, მათ მიიღეს გადაწყვეტილება, არ ემოქმედათ პროაქტიულად ამ შემთხვევებში, სანამ არ მიიღებდნენ გამოხმაურებას ევროკავშირის კომისიისგან იმ სახელმძღვანელო მითითებების შესახებ, რომლებიც მათ შეადგინეს ამისათვის.

<sup>67</sup> პარტიამ „გახარია - საქართველოსთვის“ ENEMO-ს შეატყობინა, რომ ისინი თავიანთ პრეტენზიას ტელეკომპანია „ფორმულას“ დაკვეთით Edison Research-ის გამოკითხვასა და ტელეკომპანია „იმედის“ „გორბის“ კვლევაზე აფუძნებდნენ. ორივე მათგანი აკმაყოფილებდა პოლიტიკური პარტიის კვალიფიციურებად ცნობის სამართლებრივ პირობებს. ENEMO-სთან ComCom-მ შემფოთება გამოთქვა, რომ „საქართველოსთვის“ კვალიფიციური სტატუსის მინიჭება სხვა პარტიებისთვის უფასო საეთერო დროის ხელმისაწვდომობას შეამცირებს, რომლებიც მათი საპარლამენტო სტატუსის საფუძველზე კვალიფიცირდებიან.

<sup>68</sup> „ლეიბორისტულმა პარტიამ“ ENEMO-ს აცნობა, რომ მათ ასევე სთხოვეს ტელეკომპანია „ფორმულას“ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების საფუძველზე მიენიჭებინა მათთვის კვალიფიციური სტატუსი, თუმცა „ფორმულამ“ დაადგინა, რომ პარტია არ აკმაყოფილებდა საკანონმდებლო პირობებს.

არსებობის შესახებ და აღნიშნავს, რომ პოლიტიკური რეკლამის სამართლიანი გავრცელების უზრუნველყოფა მარეგულირებლის კომპეტენციაა და არა ცალკეული მედია საშუალებების.

ვერცერთმა მედიასაშუალებამ, გარდა საზოგადოებრივი მაუწყებლისა, წინასაარჩევნო დებატები ვერ უზრუნველყო. მარეგულირებელს, კომუნიკაციების კომისიას (ComCom), არ გააჩნია დებატების ორგანიზების წახალისების ეფექტური სამართლებრივი საშუალებები, რადგან კანონი მხოლოდ არჩევნების შემდგომ გაფრთხილებას ითვალისწინებს. ENEMO ხაზს უსვამს საარჩევნო სუბიექტებს შორის დებატების არსებით მნიშვნელობაზე არჩევნების დღეს ამომრჩევლის ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად.

საარჩევნო კამპანიის დაწყებიდან ComCom-მა 55 საერთო მაუწყებლის რაოდენობრივი და თვისებრივი მონიტორინგი ჩაატარა. მან პოლიტიკური პარტიების 10 საჩივარზე და შიდა მონიტორინგის საფუძველზე 16 შემთხვევაში ოქმები გამოსცა<sup>69</sup>. მათი ძირითადი ნაწილი უფასო საეთერო დროის დარღვევას და მედიის მიერ ფასიანი პოლიტიკური რეკლამის გაშვებაზე უარის თქმას ეხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ComCom-ის მუშაობა გამჭვირვალე იყო, ENEMO ასკვნის, რომ კვალიფიციური პარტიებისთვის უფასო საეთერო დროის ჩამორთმევის და არაკვალიფიციური პარტიებისთვის კვალიფიციური სტატუსის მოპოვების შეზღუდვის გადაწყვეტილებებმა, ოპოზიციური პარტიები არაპროპორციულად შეზღუდა, რაც კითხვებს აჩენს ComCom-ის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

## სოციალური მედია

საარჩევნო კონკურსანტების უმეტესობა კამპანიაში სოციალურ მედიას იყენებდა. ბოლო 90 დღის განმავლობაში პოლიტიკური პარტიების მიერ სოციალურ მედიაში პოლიტიკურ რეკლამაზე დახარჯულმა ხარჯებმა 671 009 აშშ დოლარს მიაღწია, მხოლოდ კამპანიის ბოლო 30 დღის განმავლობაში კი 518 286 აშშ დოლარი დაიხარჯა<sup>70</sup>. სოციალური მედიის რეკლამაზე ყველაზე მეტი „ქართულმა ოცნებამ“ და „კოალიციამ ცვლილებისთვის“ დახარჯეს, თუმცა მცირე პოლიტიკურმა პარტიებმა, როგორცაა „ლეიბორისტული პარტია“ და „გახარია - საქართველოსთვის“, განაცხადეს, რომ დაფინანსების ნაკლებობის გამო თავიანთ კამპანიას მთლიანად სოციალურ მედიაზე ამყარებდნენ. Facebook ყველაზე მეტად

<sup>69</sup> ComCom-მ განმარტა, რომ მას მხოლოდ ადმინისტრაციული ოქმების შედგენა შეუძლია, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებები აღსასრულებლად სასამართლოებმა უნდა მიიღონ. სასამართლოს გადაწყვეტილებებს არ გადაუხვევია ComCom-ის შეფასებებისთვის.

<sup>70</sup> მონაცემები მოიცავს სოციალური მედიის ხარჯების ანგარიშებს, რომლებიც ხელმისაწვდომია [Meta-ს რეკლამის ბიბლიოთეკაში](#), შემდეგი საარჩევნო კონკურსანტებისთვის: „კოალიცია ცვლილებისთვის“, „ქართული ოცნება“, „მლიერი საქართველო“, „ერთობა“, „გირჩი“, „გახარია - საქართველოსთვის“ და „ლეიბორისტული პარტია“.

გამოყენებული სოციალური მედიის არხი იყო, რასაც მოჰყვებოდა TikTok, რომელსაც ახალგაზრდა მოსახლეობასთან ხმის მისაწვდენად იყენებდნენ<sup>71</sup>.

პოლიტიკური აქტორების გარდა, სოციალური მედიის რეკლამირებას მედია საშუალებებიც იყენებდნენ. Post TV-მ და TV Imedi-მა სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულ პოსტებზე სულ 74,770 აშშ დოლარი დახარჯეს<sup>72</sup>, რომლებიც ძირითადად “ქართული ოცნების” წევრების განცხადებებთან, ანტიდასავლურ რიტორიკასთან, ანტიოპოზიციურ პოსტებთან და კონსერვატიულ კონტენტთანაა დაკავშირებული. სოციალურ მედიაში აქტივობა დარეგულირებული არ არის, თუმცა ადგილობრივმა აქტორებმა დეზინფორმაციის დასაძლევად Meta-სთან თანამშრომლობა დაამყარეს. ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „სამართლიანმა არჩევნებმა“ „მეტას“ კოორდინირებული არაავთენტური ქცევა დააფიქსირა, რომლის საფრთხის მოხსენებამ<sup>73</sup> რუსეთიდან მოქმედი 76 ანგარიშის, 30 გვერდისა და 11 „ინსტაგრამის“ ანგარიშების ქსელის არსებობა დაადასტურა, რომელიც ქართველი სოციალური მედიის მომხმარებლების პოლიტიკურ შეხედულებებზე გავლენის მოხდენას ცდილობდა. ქსელი 2024 წლის აგვისტოში წაიშალა. არჩევნების დღეს, Myth Detector-მა 4 სოციალური მედიის პოსტი ცრუ ინფორმაციის და 5 სოციალური მედიის პოსტი ინფორმაციის მანიპულირების შემთხვევისთვის მონიშნა<sup>74</sup>.

დეზინფორმაცია არჩევნების დროს ძირითადად ადგილობრივად ვრცელდებოდა და დეზინფორმაციის რამდენიმე მკვეთრი მაგალითი რუსეთიდან მომდინარეობდა. რამდენიმე ადგილობრივ დეზინფორმაციულ ნარატივს შორის ყველაზე დომინანტური გლობალური ომის პარტიის არსებობა იყო, რომელიც საქართველოს მოქალაქეებში ომისადმი შიშის გასაძლიერებლად შექმნილი, როგორც მმართველი პარტიის კამპანიის სტრატეგიის ნაწილი. სხვა მნიშვნელოვანი ნარატივები არჩევნებზე ადგილობრივი და საერთაშორისო დაკვირვების დისკრედიტაციის მცდელობებს მოიცავდა, მმართველი პარტიისა<sup>75</sup> და რუსეთის საგარეო დაზვერვის

<sup>71</sup> მაგალითად, “ლეიბორისტული პარტია”, “გახარია - საქართველოსთვის” და “კოალიცია ცვლილებისთვის”.

<sup>72</sup> მონაცემები მოიცავს სოციალური მედიის ხარჯების ანგარიშებს, რომლებიც ხელმისაწვდომია [Meta-ს რეკლამის ბიბლიოთეკაში](#), ბოლო 90 დღის განმავლობაში.

<sup>73</sup> [Meta-მ დაადასტურა ქსელის არსებობა და ფუნქციონირება](#), რომლის მიზანი საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში პოლიტიკურ მოვლენებზე გავლენის მოხდენა იყო. კონკრეტულად საქართველოში, ქსელმა ყურადღება გაამახვილა “უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” კანონის წინააღმდეგ პროტესტის კრიტიკაზე და მხარდაჭერა გამოუცხადა მთავრობას.

<sup>74</sup> შემთხვევების უმეტესობა ეხებოდა ციტატების გაყალბებას, ვიდეოებით მანიპულირებას, ასევე ბიულეტენებზე დეზინფორმაციის და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას.

<sup>75</sup> მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარემ [შალვა პაპუაშვილმა ეჭვქვეშ დააყენა ENEMO-ს სანდოობა](#) ორგანიზაციის შესახებ ცრუ ინფორმაციის გამოყენებით. ანალოგიურად, [გივი მიქანაძემ](#) „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა გამოთქვა შემფოთება არჩევნების მონიტორინგის ორგანიზაციების მიუკერძოებლობის შესახებ. მისი თქმით, რეგისტრირებული 49 ადგილობრივი მონიტორინგის ჯგუფიდან 26 პოლიტიკურ პარტიებთან იყო დაკავშირებული. მან ასევე დაადანაშაულა ENEMO-ს წევრები მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ საჯარო ოპოზიციისა და „მოუწოდა“ საერთაშორისო მისიებს დაეყრდნონ ობიექტურ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ანგარიშებს და არა მიკერძოებულ წყაროებს.

სამსახურის წარმომადგენლების განცხადებებით<sup>76</sup>. და ბოლოს, არსებობს ცნობები გავრცელებული მითქმა-მოთქმის შესახებ, რომ ხმების ფარულობა არჩევნებში ტექნოლოგიების გამოყენების გამო დაცული არ იქნებოდა. ENEMO ძლიერ შეშფოთებას გამოთქვამს მისინფორმაციისა და დეზინფორმაციის მიზანმიმართულ გამოყენებაზე, რათა მოქალაქეთა საარჩევნო პროცესის შესახებ აღქმა დამახინჯებულიყო.

## გენდერული წარმომადგენლობა

---

საქართველოში ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა მკვეთრად არათანაბარია. პოლიტიკური სფეროს როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე მამაკაცები დომინირებენ<sup>77</sup>. ქალი პოლიტიკოსები სექსისტური რიტორიკის სამიზნე რეგულარულად ხდებიან, როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პარტიების მხრიდან, რაც მათ აქტიურ მონაწილეობას ხელს უშლის და პოლიტიკაში ქალთა როლის ლეგიტიმაციას ამცირებს.

საარჩევნო კოდექსში 2020 წელს განხორციელებულ ცვლილებებს შორის გენდერული კვოტების შემოღება არსებული გენდერული დისბალანსის აღმოფხვრას ისახავდა მიზნად. აღნიშნული, როგორც ადგილობრივ საკრებულოებში, ისე პარლამენტში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დაწესებით უნდა მიღწეულიყო<sup>78</sup>. 2023 წლის საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომელიც ძალაში 2024 წელს შევიდა<sup>79</sup>, კვოტების გაუქმება და ამ კვოტების გაუქმება დაიგეგმა, რამაც ქალთა უფლებადამცველებისა და ქალ კანდიდატთა რაოდენობის შესამჩნევი შემცირება გამოიწვია, განსაკუთრებით პარტია “ქართული ოცნების” პროპორციულ სიაში.

გენდერული კვოტების გაუქმება გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოს ძალისხმევის მნიშვნელოვან რეგრესზე მიანიშნებს. ეს ნაბიჯი არა მხოლოდ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კონსტიტუციურ დებულებებს არღვევს<sup>80</sup>, არამედ ევროპის საბჭოს რეკომენდაციებსაც

---

<sup>76</sup> იხილეთ მეტი: <https://civil.ge/archives/623606>

<sup>77</sup> არსებული ძალისხმევის მიუხედავად, ქალებს საპარლამენტო მანდატების მხოლოდ 19% უკავიათ, რაც ფართო სოციალურ გარემოს ასახავს, სადაც ქალები სისტემურ ბარიერებს, მათ შორის სექსიზმსა და ძალადობას აწყდებიან.

<sup>78</sup> თავდაპირველი შედეგები იმედისმომცემი იყო – 2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებში ქალმა პოლიტიკოსებმა მანდატების 27% მოიპოვეს.

<sup>79</sup> ამან საერთაშორისო დამკვირვებლების მხრიდან მწვავე კრიტიკა გამოიწვია. მიუხედავად პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მცდელობისა გადაწყვეტილებისთვის ვეტო დაედო, 2024 წელს პარლამენტმა ეს ვეტო დაძლია.

<sup>80</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, “სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად”.

უგულებელყოფს<sup>81</sup>. ENEMO გაფრთხილებას იძლევა, რომ კვოტების არარსებობა პოლიტიკაში ქალების როლს კიდევ უფრო შეამცირებს, რადგანაც პარტიებს საშუალებას მისცემს ქალ კანდიდატთა წინათ დადგენილი მინიმალური ზღვარი არ გაითვალისწინონ. მსგავსი რეგრესული ნაბიჯი წლების განმავლობაში მიღწეულ პროგრესს საფრთხეს უქმნის და პოლიტიკურ წარმომადგენლობაში გენდერული უთანასწორობის ფესვგადგმის რისკს ზრდის.

მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ცესკო ეცადა საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობას. ისეთი ინიციატივები, როგორცაა ქალ პოლიტიკურ წარმომადგენელთათვის ტრენინგების ჩატარება, მიზნად ისახავდა საარჩევნო უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ქალთა მონაწილეობის წახალისებას. თუმცა, როგორც ჩანს, ეს ძალისხმევა არასაკმარისია ქალთა შემცირებული პოლიტიკური ჩართულობის აღმოსაფხვრელად, განსაკუთრებით, კვოტების მსგავსი სტრუქტურული მექანიზმების გაუქმების შემდეგ. ENEMO ნეგატიურად აფასებს იმ საკმარისი ზომების ნაკლებობას, რომლებიც ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის აქტიურ ხელშეწყობასა და საერთაშორისო სტანდარტების დაცვას უზრუნველყოფს.

## ეროვნული უმცირესობები

---

საქართველოში ეთნიკური უმცირესობები პოლიტიკური მონაწილეობის მხრივ კვლავ მნიშვნელოვან დაბრკოლებებს აწყდებიან, რადგან არსებული ჩარჩო საკანონმდებლო და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში ეფექტური და მუდმივი წარმომადგენლობის უზრუნველყოფას ხშირად ვერ ახერხებს<sup>82</sup>. არ არსებობს ფორმალური კვოტები ან საკონსტიტუციო დონეზე საკონსულტაციო ორგანოები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში უმცირესობების საჭიროებების გათვალისწინებას შეძლებენ. შესაბამისად, უმცირესობების პოლიტიკაში ჩართვა

---

<sup>81</sup> ევროპის საბჭოს რეკომენდაცია Rec(2003)3 პოლიტიკურ და საჯარო გადაწყვეტილებების მიღებაში ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებული მონაწილეობის შესახებ წევრ სახელმწიფოებს, მათ შორის საქართველოს, მოუწოდებს ეფექტური მექანიზმების განხორციელებას და პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ რესურსებზე ქალებისა და მამაკაცების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, მუდმივი გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. რეკომენდაციის მიხედვით, დაბალანსებული მონაწილეობა განისაზღვრება, პოლიტიკურ ან საჯარო გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში რომელიმე სქესის მინიმუმ 40%-ით წარმოდგენის უზრუნველყოფით.

<sup>82</sup> საქართველოს კონსტიტუცია უმცირესობათა უფლებებს, მათ შორის მათ პოლიტიკურ მონაწილეობას აღიარებს ისეთი დამხმარე კანონებით, როგორცაა კანონი ზოგადი განათლების შესახებ და სახელმწიფო სტრატეგია სამოქალაქო თანასწორობის შესახებ, რომლებიც ინკლუზიურობის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. თუმცა, ამ უფლებათა პრაქტიკაში განხორციელება ხშირად არათანმიმდევრულია. მიუხედავად ამ ჩარჩოების არსებობისა, პოლიტიკურ და საკანონმდებლო ორგანოებში ეროვნული უმცირესობების ადეკვატური წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად საქართველოს კონკრეტული მექანიზმები არ გააჩნია.

ხშირად პოლიტიკური პარტიების სტრატეგიულ ინტერესებზეა დამოკიდებული, რაც კვლავ არათანმიმდევრული და საჭიროებაზე მორგებულია.

ეთნიკური უმცირესობები საქართველოს მოსახლეობის 13,2%-ს შეადგენენ, თუმცა მათი წარმომადგენლობა პოლიტიკაში შეზღუდულია. მიუხედავად ისეთი ღონისძიებების დანერგვისა, როგორცაა ორენოვანი საარჩევნო მასალების<sup>83</sup> და პერსონალის არსებობა, ასევე მიზნობრივი საინფორმაციო კამპანიების ჩატარება, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების მხოლოდ 2% არის უმცირესობების თემებიდან წარმოდგენილი. 2023 წლის ოქტომბერში, ცესკომ ცნობიერების ამაღლების კამპანია წამოიწყო, რომელიც უმცირესობების ენებზე, აზერბაიჯანულად და სომხურად დემონსტრაციებისა და გადაცემების დანერგვას მოიცავდა<sup>84</sup>. თუმცა, ეროვნული უმცირესობების ჩართულობის მიმართულებით გამოწვევები კვლავაც არსებობს.

ENEMO აღნიშნავს, რომ ეროვნული უმცირესობების საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ტრენინგებმა ისეთი ხარვეზები გამოავლინა, როგორცაა მასალების მხოლოდ ქართულ ენაზე ხელმისაწვდომობა, რამაც მონაწილეებს შორის დაბნეულობა გამოიწვია დმანისსა და ნინოწმინდაში. მიუხედავად ერთწლიანი მოსამზადებელი ეტაპის შესახებ არსებული რწმუნებებისა, ეს ხარვეზი მზადყოფნის ნაკლებობაზე მიუთითებს და საარჩევნო პროცესის ინკლუზიურობას ასუსტებს.

26 ოქტომბრის არჩევნების წინ, პრო-სამთავრობო მედიამ ეს საკითხი კიდევ უფრო გაამწვავა, ოპოზიციის მიმართ ეთნიკურად დისკრიმინაციული რიტორიკის გამოყენებით<sup>85</sup>. ასეთი არმენოფობიური თავდასხმები ხაზს უსვამს ნაციონალისტურ სტრატეგიას, რომელსაც პრო-სამთავრობო საშუალებები ოპოზიციური ფიგურების დისკრედიტაციისთვის იყენებენ. ეთნიკური იდენტობის პოლიტიკური კამპანიების ინსტრუმენტად გამოყენება არა მხოლოდ სამოქალაქო თანასწორობის მცდელობებს უთხრის ძირს, არამედ განხეთქილებასა და შეუწყნარებლობას უწყობს ხელს.

ადგილობრივ მედიები ცესკოს არჩევნებთან დაკავშირებით უმცირესობების არასაკმარისი ინფორმირების გამო აკრიტიკებენ<sup>86</sup> და არჩევნებთან დაკავშირებული

---

<sup>83</sup>ცესკომ საინფორმაციო ვიდეოები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნა ეთნიკური უმცირესობების ამომრჩევლების ცნობიერების ამაღლების მიზნით. ეს ვიდეოები მთელ რიგ თემებს, მათ შორის საარჩევნო ტექნოლოგიების შესახებ აუდიტის ანგარიშებს, გადამოწმების მოწყობილობების, ხმების დათვლის აპარატებისა და პლანშეტების გამოყენებას, ასევე ამომრჩეველთა ელექტრონული გადამოწმების პროცესებს ეხებოდა. გარდა ამისა, ვიდეო-ინსტრუქციები კამპანია „გაფერადე, არ შემოხაზო“-ს, ხმების დამთვლელ აპარატებში ბიულეტენების სწორად ჩასმის, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით შშმ პირთა ხმის მიცემის პროცედურებისა და საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელების სასერტიფიკაციო გამოცდების შესახებ იყო გავრცელებული.

<sup>84</sup>ძირითადად აზერბაიჯანული და სომხური უმცირესობებისთვის, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, როგორცაა სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და კახეთი.

<sup>85</sup> მაგალითად, Postv-ს ჟურნალისტისტიკის მიერ ოპოზიციური კოალიცია „ძლიერი საქართველო“ ლიდერის, [მამუკა ხაზარაძის სომხური მემკვიდრეობის](#) მიზანმიმართულად ეჭვქვეშ დაყენება.

<sup>86</sup> [Aktual.ge](#), [24News.ge](#), და [InterPress.ge](#) ცესკოს დისკრიმინაციული პრაქტიკის თავიდან ასაცილებლად ადგილობრივ მედიასთან თანამშრომლობისკენ მოუწოდებენ.

ინფორმაციის უმცირესობათა ენებზე გაავრცელებისკენ მოუწოდებენ. მიუხედავად ისეთი სიახლეების დანერგვისა, როგორცაა ახალგაზრდებზე ორიენტირებული საარჩევნო პროგრამები უმცირესობებისთვის<sup>87</sup>, კომუნიკაციის ნაკლებობა უმცირესობათა ენებზე კვლავაც კრიტიკულ ბარიერად რჩება.

## შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობა

საქართველომ პროგრესული კანონმდებლობის მეშვეობით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა შშმ პირთა პოლიტიკური მონაწილეობის გასაუმჯობესებლად. საარჩევნო კოდექსი საარჩევნო უბნების ხელმისაწვდომობის მოთხოვნას აწესებს, ასევე განსაზღვრავს ისეთ ზომებს, როგორცაა პანდუსები, პოლიტიკური რეკლამების შესტების ენაზე თარგმნა და ხელმისაწვდომ უბნებზე ხელახალი რეგისტრაცია. მხედველობის შეზღუდვის მქონე პირთათვის დამატებით ტაქტილური ბიულეტენები და გამადიდებელი ფურცლებია შეთავაზებული, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა პოლიტიკურ კამპანიებსა და ხმის მიცემის პროცესში დამოუკიდებლად ჩართვა შეძლონ.

თუმცა, ამ ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელება არათანაბარი რჩება, განსაკუთრებით სოფლად, სადაც ინფრასტრუქტურა ხშირად არაა შესაბამისი<sup>88</sup>. ENEMO-ს შეფასებით, არჩევნების დღეს დაკვირვებული საარჩევნო უბნების 48.6% იყო სრულად ხელმისაწვდომი, 23.2%-ში მცირე დახმარების საჭიროება იყო, 28.2% კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე საერთოდ არ იყო მორგებული. გარდა ამისა, დაკვირვებული საარჩევნო უბნების 9.5% ტაქტილური ბიულეტენებით არ იყო აღჭურვილი<sup>89</sup>, ხოლო ხელმისაწვდომ საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად მხოლოდ 25 ეტლით მოსარგებლე დარეგისტრირდა<sup>90</sup>. გარდა ამისა, ცესკომ მხედველობადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის საინფორმაციო შეხვედრები ჩაატარა და სმენადაქვეითებულთათვის დასახმარებლად შესტების ენის არაერთი თარჯიმანი გადაამზადა.

ENEMO-ს დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ კანონსა და მის აღსრულებას შორის ეს განსხვავება ურბანული ცენტრებიდან მოშორებულ რეგიონებში რესურსებისა და

<sup>87</sup> ერთ-ერთი ასეთი [ღონისძიება](#) 22 ოქტომბერს მარნეულში გაიმართა.

<sup>88</sup> მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო უბნების უმეტესობა ძირითადად სკოლებსა და საბავშვო ბაღებშია ხელმისაწვდომი, პატარა ქალაქებში შესაფერისი ადგილების მოძებნა პრობლემას წარმოადგენს. ბევრი საოლქო საარჩევნო კომისია მაღალ სართულებზეა განლაგებული, ლიფტების გარეშე, რაც დამატებით დაბრკოლებებს ქმნის.

<sup>89</sup> ამის საპირისპიროდ, ცესკომ ENEMO-ს აცნობა, რომ ყველა საარჩევნო უბანზე გაიცა ტაქტილური ბიულეტენები მხედველობის დაქვეითებული ამომრჩევლებისთვის.

<sup>90</sup> ხელმისაწვდომ საარჩევნო უბანზე ხმის მიცემისათვის შშმ პირთა რეგისტრაციის ვადა არჩევნებამდე 11 დღით ადრე, 15 ოქტომბერს იყო.

ზედამხედველობის ნაკლებობითაა გამოწვეული, რაც შშმ პირთა საარჩევნო პროცესებში სრულფასოვან ჩართულობას ართულებს. პოლიტიკური პარტიები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ აღნიშნულ საკითხებს და არასაკმარისად არიან ჩართულნი შშმ პირების საჭიროებებისა და პრობლემების გადაწყვეტაში<sup>91</sup>.

გარდა ამისა, შშმ პირთა საარჩევნო ადმინისტრაციაში ჩართულობა მინიმალურია. ENEMO-ს დამკვირვებლებმა განაცხადეს, რომ შშმ პირები ბევრ საარჩევნო ორგანოში საერთოდ არ მუშაობენ, რაც ასეთ როლებში მათი შესაძლებლობების შესახებ მუდმივად არსებულ მცდარ წარმოდგენებს ასახავს. ეს ისეთი ინიციატივების საჭიროებაზე მიუთითებს, რომლებიც არა მხოლოდ ფიზიკური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, არამედ არჩევნების მართვაში შშმ პირთა აქტიური ჩართულობის ხელშეწყობასა და საქართველოს საარჩევნო პროცესებში ჭეშმარიტი ინკლუზიურობის მიღწევას დაისახავს მიზნად.

## საჩივრები და სარჩელები

არჩევნებთან დაკავშირებული დავების გადაჭრის სამართლებრივი ჩარჩო განკუთვნილია მკაფიო და იერარქიული პროცესის უზრუნველსაყოფად, თუმცა პარალელურ იურისდიქციას კანონმდებლობა მთლიანად გამორიცხავს. თუ სასამართლოში სარჩელი/საჩივარი არის შეტანილი, სასამართლო დაუყოვნებლივ აცნობებს საოლქო ან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სარჩელის/საჩივრის მიღების და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ თავად გადაწყვეტილების შესახებაც. საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევები შესაძლოა გასაჩივრდეს შესაბამის საარჩევნო კომისიაში ან სასამართლოში. საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს უფრო მაღალ ინსტანციებში, მათ შორის რაიონულ ან საქალაქო სასამართლოებში, საბოლოოდ კი სააპელაციო სასამართლოში, საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული საკანონმდებლო ბაზისა და ვადების მიხედვით.

საარჩევნო სუბიექტები, საინიციატივო ჯგუფები, მათი წარმომადგენლები და სადამკვირვებლო ორგანიზაციები უფლებამოსილნი არიან საარჩევნო დავებზე სარჩელები შეიტანონ. თუმცა, ამომრჩევლებს შეუძლიათ საჩივარი წარადგინონ მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი პირადი უფლებები ირღვევა

<sup>91</sup> ერთადერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც მარგინალიზებულ ჯგუფებს ეხებოდა, კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ მიერ იყო ორგანიზებული ქუთაისში. მცირე შეხვედრის დროს კოალიციის ლიდერებმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე წევრთან ერთად, ის გამოწვევები განიხილეს, რომლის წინაშეც დაახლოებით 114,000 შშმ პირი დგას საქართველოში. ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო მხარდაჭერის ნაკლებობაზე, ეკონომიკურ სირთულეებსა და საარჩევნო უზნების ხელმისაწვდომობაზე. კოალიციამ პირობა დადო, რომ არჩევნის შემთხვევაში შშმ პირთა პირობებს გაუმჯობესებდა. ღონისძიება რამდენიმე ეროვნულმა ტელევიზიამ გააშუქა.



საარჩევნო კოდექსის დებულებები, რომლებიც დავების გადაწყვეტას არეგულირებს, საკმაოდ კომპლექსურია. საჩივრის წარდგენის წინაპირობა მოიცავს მრავალ ფორმალურ და პროცედურულ მოთხოვნას, რამაც შეიძლება პროცესი საკმაოდ რთული გახადოს. საარჩევნო დავების უმეტესობა დაჩქარებული პროცედურით განიხილება. საარჩევნო დავების გადაწყვეტის დაჩქარებული ვადები მათ სწრაფად მოგვარებას ისახავს მიზნად, რაც გადამწყვეტია საარჩევნო პროცესის იმპულსის შესანარჩუნებისა და შედეგების გამოცხადების შეფერხების თავიდან ასაცილებლად. თუმცა, ხანმოკლე ვადები, განსაკუთრებით სააპელაციო სასამართლოსთვის, შემფოთების საგანი გახდა ეუთო/ოდირისა (OSCE/ODIHR) და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებში<sup>92</sup>. დაჩქარებულმა ვადებმა შესაძლოა შეზღუდოს საკმარისი მტკიცებულებების შეგროვება და საქმეთა საფუძვლიანი მომზადების შესაძლებლობა, განსაკუთრებით კომპლექსური დავებისათვის. კანონი ითვალისწინებს ორდღიან ვადას სასამართლოში საჩივრის შეტანისა და განხილვისთვის, დამატებით ერთდღიან ვადას სააპელაციო სასამართლოში შემდგომი საჩივრის შესატანად და ორი დღის ვადას მის განსახილველად.

არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების ონლაინ პორტალი საჩივრებსა და გადაწყვეტილებებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. განმხილველი ორგანოები, მათ შორის საარჩევნო კომისიები და სასამართლოები, როგორც წესი, სამართლებრივი ვადების დაცვით მოქმედებენ და დავების დროულ მოგვარებას უზრუნველყოფენ.

26 ოქტომბრის მდგომარეობით, არჩევნების მართვის ორგანოებში სულ 216 საჩივარი შევიდა. აქედან 40 საჩივარი განხილვის პროცესში რჩება, მაშინ, როცა მხოლოდ 17 დაკმაყოფილდა. დარჩენილი საჩივრები ან უარყოფილ იქნა ან გაბათილდა. პრეტენზიების უმრავლესობა ეხებოდა საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციონირებას - 78 (კომისიის გახსნის, დახურვის, წევრების არჩევისა და ანაზღაურების ჩათვლით), ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებას - 28 და საარჩევნო კამპანიის წესების დარღვევას - 75.

სასამართლომ არჩევნებთან დაკავშირებული დაახლოებით 35 საქმე განიხილა, გამოიტანეს გადაწყვეტილება, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან საქმეებზე, რომლებიც ეხებოდა უფასო საეთერო დროის განაწილებას, მაუწყებლების უფლებას პარტიების კვალიფიციურ სუბიექტებად აღიარებაზე, საზღვარგარეთ ხმის მიცემას და საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტების აღიარებას. სასამართლო გადაწყვეტილებების არსებითად ჩაღრმავების გარეშე, ENEMO-მ შენიშნა, რომ სასამართლოები ფართო ინტერპრეტაციას იყენებენ შეზღუდვების დაწესებისას, მაშინ როცა უფლებების

<sup>92</sup>ერთობლივი მოსაზრება საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე, ვენეციის კომისია, 127-ე პლენარული სესია, 2021 წლის 2-3 ივლისი; ვენეციის კომისიის და ეუთო/ოდირის (OSCE/ODIHR) ერთობლივი მოსაზრება საარჩევნო კოდექსსა და პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე, 133-ე პლენარული სხდომა, 2022 წლის დეკემბერი.

გაფართოების ან დაცვისას უფრო ვიწრო და ფორმალისტურ მიდგომებს ირჩევენ. შესაბამისად, სასამართლო სისტემა აღმასრულებელი ხელისუფლების შემმოწმებელი ფუნქციის მაგივრად, ხშირად ამგვარი გადაწყვეტილებების ხელშემწყობ როლს უფრო ასრულებს.

მისია გააგრძელებს არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი საჩივრებისა და მიმართვების ანალიზს.

## არჩევნების დღე

---

არჩევნების დღეს საქართველოში ოპოზიციის წევრების, მხარდამჭერებისა და ჟურნალისტების მიმართ არაერთი ძალადობრივი ინციდენტი მოხდა. მარნეულში თავს დაესხნენ “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელს აზად კარიმოვს, ხოლო თბილისის გლდანის რაიონში “ქართული ოცნების აქტივისტები” ოპოზიციის მხარდამჭერებს დაესხნენ თავს. გარდა ამისა, “მთავარი არხის” ჟურნალისტებს კახეთში, საარჩევნო უბანთან თავს დაესხნენ პირები, რომლებიც, სავარაუდოდ, „ქართულ ოცნებასთან“ იყვნენ დაკავშირებულნი. ENEMO აღნიშნავს, რომ ძალადობის და დაშინების მსგავსი ქმედებები სერიოზულ შეშფოთებას იწვევს საარჩევნო პროცესის მთლიანობისა და დემოკრატიული თავისუფლებების დაცვასთან დაკავშირებით.

საარჩევნო უბნების ირგვლივ არსებული გარემო შეფასდა, როგორც დაძაბული და პერიოდულად არაორგანიზებული, ამომრჩეველთა დაშინების, არაუფლებამოსილი პირების დასწრებისა და პროცედურული დარღვევების შემთხვევებით. დაფიქსირდა ამომრჩეველზე პირდაპირი ზეწოლის ფაქტები, განსაკუთრებით „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან, რომლებიც ამომრჩევლებს უბნებზე ხელმძღვანელობდნენ და ამომრჩეველთა ნაკადს საარჩევნო უბნების გარედან აკონტროლებდნენ. სატრანსპორტო საშუალებების მობილიზებით, მიკროავტობუსებითა და პირადი მანქანებით, ამომრჩეველთა ჯგუფები უბნებზე მიიყვანეს. “ქართული ოცნების” მხარდამჭერები, ადგილობრივი დამკვირვებლების ჩარევამდე, არაერთხელ უახლოვდებოდნენ ამომრჩევლებს. შემდგომში მათ სხვა პირები ანაცვლებდნენ.

გარდა ამისა, ENEMO-ს დამკვირვებლებმა აღნიშნეს, ზრდასრული მამაკაცების თავშეყრა საარჩევნო უბნებთან ქალაქის ცენტრებიდან მოშორებით, რამაც დაშინების შესახებ შეშფოთება გამოიწვია, თუმცა ეს პირები აქტიურად არ ერეოდნენ უშუალოდ ხმის მიცემის პროცესში. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიერ დაყენებულმა კამერებმა თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე, სადაც დაკვირვება მოხდა, ხმის თავისუფლად მიცემის შესაძლებლობაზე შეშფოთება გააძლიერა. უბანზე კამერების

არსებობის შესახებ პრეტენზიები განსხვავებული იყო, - ზოგიერთი წარმომადგენელი უბანზე მათ გამოყენებას ინციდენტის დოკუმენტირების აუცილებლობით ამართლებდა, ხოლო სხვებმა ორაზროვანი ან მერყევი განმარტებები წარმოადგინეს საკუთრების შესახებ, რაც პარტიის მიერ პოტენციურ თვალთვალზე მიუთითებდა. გარდა ამისა, სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეომასალაში ნაჩვენებია მარნეულში ბიულეტენების მასიურად ჩაყრა, რაზეც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

როგორც ENEMO-ს დამკვირვებლებმა შეაფასეს, არჩევანის ფარულობა შეიძლება დაირღვეს, რადგან საარჩევნო ბიულეტენის ჩარჩო კონვერტი სრულად არ ფარავს ბიულეტენის პირველ რამდენიმე სვეტს, რითაც ბიულეტენის ზედა ნაწილში გაკეთებული მონიშვნა ხილვადი ხდება საარჩევნო უბნის თანამშრომლებისთვის.

ENEMO-ს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო უბნების უმეტესობაზე კენჭისყრა პროცედურების დაცვით მიმდინარეობდა, კუმულაციურმა საკითხებმა უბნის მოწყობის, დამკვირვებლებისთვის მისაწვდომობის მხრივ და დაშინების ტაქტიკამ არჩევნების დღის გარემოს სამართლიანობას ძირი გამოუთხარა.

## გახსნის პროცედურები

ENEMO აღნიშნავს, რომ საარჩევნო უბნების გახსნის პროცედურები ძირითადად უმნიშვნელო საკითხებით იყო შეფერხებული. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო უბნების 27.3%-ს, სადაც დაკვირვება მოხდა, 15 წუთამდე დაგვიანება აღენიშნებოდა ტექნიკური პრობლემების, ელექტრონული მოწყობილობების გაუმართაობის ან ზოგადი დეზორგანიზაციის გამო. გარდა ამისა, უბნების 13.6%-ში, სადაც დაკვირვება განხორციელდა, კენჭისყრა გვიან დაიწყო, რაც გამოწვეული იყო წევრების დაგვიანებული მისვლით, მოწყობილობის დაყენების სირთულეებით ან თვისებრივი მონაცემების გამოცხადების დაგვიანებით. ტექნიკური პრობლემები დაფიქსირდა საარჩევნო უბნების 6.8%-ში, სადაც დაკვირვება მოხდა, დაწყებული საარჩევნო მოწყობილობების გაუმართაობით, დავიწყებული პაროლებით დასრულებული. გარდა ამისა, შემფოთება იყო გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, რადგან უბნებზე, სადაც დაკვირვება მოხდა, შეტანილი საჩივრების 4,5% ეხებოდა იმას, რომ საარჩევნო ყუთების სიცარიელე არ შეამოწმეს დალუქვამდე, ხოლო გადასატანი ყუთების 4,6% არასწორად, ან საერთოდ არ იყო დალუქული.

ENEMO-ს დამკვირვებლებმა დადებითად შეაფასეს საუბნო საარჩევნო კომისიების 93.2%-ის ქცევა, იმ უბნებზე სადაც დაკვირვება მოხდა, ხოლო 6.8%-მა მიიღო უარყოფითი შეფასება დაუდევრობის, გადატვირთულობის, არაორგანიზებული მოწყობის, დაჩქარებული პროცესების და გახსნის პროტოკოლის დასრულებამდე კერძისყრის დაწყებით. გარდა ამისა, ზოგიერთი უბნის გახსნისას პოლიციის ან

დაცვის თანამშრომლების ყოფნა აღინიშნა, ერთი უბნის მოწყობა მიუღებლად მიიჩნიეს, რაც კიდევ უფრო მიუთითებს პროტოკოლის დაცვის მხრივ შეუსაბამობაზე.

## ხმის მიცემის პროცესი

3044 უბნიდან, ENEMO კენჭისყრის პროცესს 482 (15,8%) უბანზე დააკვირდა. საერთო ჯამში, უბნების 88.2% სადაც დაკვირვება მოხდა, აღჭურვილი იყო ხმის მიცემის ტექნოლოგიებით, ხოლო 11.8% ტრადიციულ საარჩევნო უბნებს წარმოადგენდა.

საარჩევნო უბნები, სადაც დაკვირვება მოხდა, როგორც წესი, აკმაყოფილებდა მინიმალურ საკადრო მოთხოვნებს; ქალები საკმარისად იყვნენ წარმოდგენილნი საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პოზიციებზე, ისინი შეადგენდნენ თავმჯდომარეთა 73.0%, მოადგილეების 78.2% და მდივნების 94.0%-ს. ადგილობრივი დამკვირვებლები იმყოფებოდნენ უბნების 73,9%-ში სადაც დაკვირვება განხორციელდა, ხოლო საერთაშორისო დამკვირვებლები - 22,2%-ში. თუმცა, პრობლემები დაფიქსირდა: საარჩევნო უბნების 2.5%-ზე სადაც დაკვირვება მოხდა, შეუსაბამო განლაგება აღინიშნებოდა, რაც ზღუდავდა სივრცეს, არღვევდა ხმის მიცემის ფარულობას ან ხელს უშლიდა დამკვირვებელთა მიერ პროცესის ხილვადობას. რაც შეეხება მისაწვდომობას, საარჩევნო უბნების მხოლოდ 48.6% სადაც დაკვირვება მოხდა, იყო სრულად მისაწვდომი შშმ პირებისთვის, ხოლო სხვა შემთხვევებში ასეთი პირები საჭიროებდნენ მცირე დახმარებას, ან უბნები სრულიად მიუწვდომელი იყო. ხმის მიცემისთვის საჭირო ძირითადი მასალები წარმოდგენილი იყო ყველა იმ საარჩევნო უბანზე, სადაც დაკვირვება მოხდა, თუმცა 2.1%-ს ჰქონდა ხარვეზები მელნის შემოწმებაში, ხოლო უბნების 1.2%-ზე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმება არ ხდებოდა.

კენჭისყრის პროცესი ძირითადად გაიდლაინებს ეყრდნობოდა, რეგისტრატორები გასაგებად ხსნიდნენ ბიულეტენების მონიშვნის წესს უბნების 95.4%-ში, სადაც დაკვირვება მოხდა. თუმცა, სერიოზული დარღვევები დაფიქსირდა საარჩევნო უბნების 4.1%-ში, კერძოდ, აღინიშნებოდა ძალადობის, ზეწოლის, ჯგუფურად ხმის მიცემის, ბიულეტენების ფარულობის დარღვევის ან ხმის მიცემის კაბინის ფანჯრებთან ახლოს განთავსების შემთხვევები, რაც საფრთხეს უქმნიდა კონფიდენციალურობას. საარჩევნო უბნების 28.6%-ში სადაც დაკვირვება მოხდა, ამომრჩეველს ესაჭიროებოდა დახმარება PCOS-ის მოწყობილობებთან მიმართებაში, ხოლო უბნების 1.4%-ში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ბიულეტენი გაფუჭდა მოწყობილობის მიერ ორჯერ უარყოფის შემდეგ.

მაშინ, როცა უბნების 84.4%, სადაც დაკვირვება მოხდა, ეფექტურად იმართებოდა, უბნების 11.2%-ზე ხალხმრავლობა დაფიქსირდა, თუმცა უბანი სათანადოდ

ფუნქციონირებდა, ხოლო უბნების 2.9%-ზე ზედმეტმა ხალხმრავლობამ, ტექნიკურმა გაუმართაობამ და საუბნო საარჩევნო კომისიის თანამშრომლებსა და ამომრჩევლებს შორის დავამ, დეზორგანიზაცია გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების 97.1%-ი, სადაც დაკვირვება მოხდა, ზოგადად პროცედურების შესაბამისად მოქმედებდა, საარჩევნო უბნების 8.9%-ზე ოფიციალური საჩივრები დაიწერა, რომელთაგან 2.1% იყო არსებითი. დაკვირვების კუთხით გამოწვევები დაფიქსირდა საარჩევნო უბნების 4.6%-ში არაუფლებამოსილი პირების, როგორცაა პოლიცია და ადგილობრივი მოხელეები, უბანზე ყოფნით გამოწვეული ხალხმრავლობის გამო, რაც უბნების 3.3%-ზე ქონდა ადგილი. ENEMO-ს დამკვირვებლებმა ნეგატიურად შეაფასეს საარჩევნო უბნების 4.8%, სადაც, უპირველეს ყოვლისა, დაუდევრობა (82.6%), მაგრამ ასევე გაყალბების შემთხვევები (17.4%), და ფარულობის დარღვევა მთავარი პრობლემა იყო.

### **ხმების დათვლის პროცესი**

ყველა საარჩევნო უბანი, სადაც დაკვირვება მოხდა, დროულად დაიხურა. საერთო ჯამში, ENEMO-ს მიერ მონიტორინგის ქვეშ მყოფი საარჩევნო უბნების 81.8% იყენებდა დათვლის ტექნოლოგიებს. ამ უბნების 4.5%-ში იმყოფებოდნენ არაუფლებამოსილი პირები, მათ შორის პოლიცია და სამოქალაქო პირები. ENEMO-მ აღნიშნა, რომ დახურვის დროს რიგები არ იყო და ხმების წინასწარი დათვლის ყველა პროცედურა დაცული იყო.

ხმების დათვლის პროცესში, ხმის მიცემის ტექნოლოგიების მქონე უბნების 18.2%-ში პროცედურული ხარვეზები დაფიქსირდა. ეს მოიცავდა მცირე პრობლემებს, როგორცაა თითოეული საარჩევნო სუბიექტისთვის ხმების რაოდენობის გამოუცხადებლობა, მცირე რაოდენობის ბათილი ბიულეტენების არასწორი კლასიფიკაცია და დალუქვის პროცედურის არასათანადო დაცვა. ასევე, ცესკოში ოქმის გადაგზავნისას მცირე ტექნიკური საკითხები წარმოიშვა უბნების 11.4%-ში, სადაც დაკვირვება მოხდა.

ENEMO-ს დამკვირვებლებმა მთლიანობაში დადებითად შეაფასეს დახურვისა და დათვლის პროცესები უბნების 95.4%-ში, ხოლო 4.6% უარყოფითად შეფასდა დაუდევრობის გამო, რის მიზეზადაც ქაოტური გადათვლები, არასაკმარისი ორგანიზებულობა, პროცედურული ცოდნის ნაკლებობა და მნიშვნელოვანი შეფერხებები სახელდება.

**საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის მასალების გადაცემა და საოლქო საარჩევნო კომისიების აქტივობა**

ENEMO-ს დამკვირვებლები მასალების გადაცემას 44 საოლქო საარჩევნო კომისიაზე აკვირდებოდნენ. საოლქო საარჩევნო კომისიების 9.0%-ში, სადაც დაკვირვება მოხდა, შენობა მასალების მისაღებად შეუსაბამო იყო. გარდა ამისა, საოლქო საარჩევნო კომისიების 11.4%, სადაც დაკვირვება მოხდა, გადატვირთული იყო გრძელი რიგებით, რაც მათ მუშაობას აფერხებდა, ხოლო ოლქების 6.8% შეფასდა, როგორც არაორგანიზებული, დამაბნეველი და ქაოტური. მთლიანობაში, ENEMO-ს დამკვირვებლებმა უარყოფითი შეფასება მისცეს საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობას საოლქო საარჩევნო კომისიების 4.6%-ში, სადაც დაკვირვება განხორციელდა

## დამკვირვებლები

---

### ადგილობრივი დამკვირვებლები

ადგილობრივი დამკვირვებლების მართვის საკანონმდებლო ბაზას საქართველოს საარჩევნო კოდექსი ადგენს. ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია არჩევნების დღემდე არანაკლებ ერთი წლით ადრე საქართველოში რეგისტრირებული არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი უნდა იყოს. არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა გაიარონ ფორმალური აკრედიტაციის პროცესი ცესკოს მეშვეობით. ამისათვის საჭიროა დააკმაყოფილონ შემდეგი კრიტერიუმები: მიუკერძოებლობა, პარტიული კუთვნილების არქონა და დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ტრადიციულად გადამწყვეტ როლს ასრულებენ არჩევნების მონიტორინგში, ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებასა და რეფორმების რეკომენდაციების შემუშავებაში, მათი ძალისხმევა სულ უფრო მეტად იზღუდება. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, სამოქალაქო საზოგადოებასა და მმართველ პარტია „ქართულ ოცნებას“ შორის გამწვავებულმა დამაბულობამ დამოუკიდებელი დაკვირვებისთვის მეტად რთული გარემო ჩამოაყალიბა.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დასაკვირვებლად ცესკომ 101 ადგილობრივი ორგანიზაციიდან 23,153 ადგილობრივი დამკვირვებელი დაარეგისტრირა, მათ შორის ისეთი წამყვანი ორგანიზაციები, როგორებიც არიან “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო”, “სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება” (ISFED), “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია” (საია) და “საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო” (PMMG). მიუხედავად მათი დიდი გამოცდილებისა და სანდოობისა, ეს ორგანიზაციები მთავრობის მხრიდან მზარდი ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან.

აღნიშნული შეიძლება გულისხმობდეს სამართლებრივი და ექსტრა-სამართლებრივი ზომების გამოყენებას, რათა შეზღუდოს დამოუკიდებელი დამკვირვებლების გავლენა. აღნიშნული მდგომარეობა ექვებს იწვევს გამჭვირვალობისა და სამართლიანი არჩევნებისადმი მთავრობის ერთგულების შესახებ, რადგან დამკვირვებლები აწყდებიან არა მხოლოდ პოლიტიკურ ზეწოლას, არამედ სამართლებრივ დაბრკოლებებს, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების მონიტორინგის გავლენის შემცირებაზეა ორიენტირებული.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის (CSO) არსებული ზოგადი კლიმატი შემაშფოთებელია. 2024 წელს, 30,258 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციიდან მხოლოდ 4.3% დარჩა აქტიური, რაც სამოქალაქო ჩართულობის სივრცის შეზღუდვას ასახავს. “უცხოური გავლენის გამჭვირვალობის” შესახებ სადავო კანონი, იმ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიას, რომლებიც 20%-ზე მეტ დაფინანსებას უცხოეთიდან იღებენ, უცხოური ძალის ინტერესების გამტარ ორგანიზაციებად დარეგისტრირებას ავალდებულებს, რამაც რუსულ კანონებთან მსგავსების გამო კრიტიკა გამოიწვია. პროტესტის ნიშნად, დაახლოებით 200-მა ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ პირობა დადო, რომ არ დაემორჩილება კანონს და დემოკრატიაზე მისი მავნე გავლენის შესახებ გაფრთხილებებს ავრცელებენ.

24 სექტემბერს ანტიკორუფციულმა ბიურომ (ACB) “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო” “განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტად” გამოაცხადა, რის გამოც ორგანიზაციამ დროებით შეაჩერა არჩევნებზე სადამკვირვებლო საქმიანობა. ამ უკანასკნელმა საქმიანობა 2 ოქტომბერს განაახლა პრემიერ-მინისტრის ჩარევის შემდეგ, რის გამოც ანტიკორუფციულმა ბიურომ გადაწყვეტილება გააუქმა. ENEMO აღნიშნავს, რომ ასეთმა ზომებმა, მთავრობის მიერ მშვიდობიანი საპროტესტო აქციების ჩახშობასთან ერთად, კიდევ უფრო დაამძიმა უკვე დამაბული პოლიტიკურ კლიმატი არჩევნებამდე. ამის შედეგად ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები განიხილებიან როგორც რადიკალური ძალები და მათი სანდოობა ეჭვქვეშ დგება .

## საერთაშორისო დამკვირვებლები

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დასაკვირვებლად ცესკომ 76 საერთაშორისო ორგანიზაციიდან თუ სუბიექტიდან 1,713 საერთაშორისო დამკვირვებელი დაარეგისტრირა.

მიუხედავად იმისა, რომ ცესკო და საოლქო საარჩევნო კომისიები, როგორც წესი, დროულად აწვდიან ინფორმაციასა და განახლებებს, ასევე უზრუნველყოფენ საერთაშორისო დამკვირვებლების ხელმისაწვდომობას, რაც გამჭვირვალობას უწყობს

ხელს, პოლიტიკურად დაძაბული გარემოს ფონზე ამ თანამშრომლობის თანმიმდევრულობის შესახებ კვლავ არსებობს შეშფოთება.



## ENEMO-ს შესახებ

---

არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპული ქსელი (ENEMO) საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ეროვნული არასამთავრობო სამოქალაქო ორგანიზაციების ქსელს წარმოადგენს. იგი 2001 წლის 29 სექტემბერს ოპატიში, ხორვატიაში დაარსდა. ENEMO ცენტრალური აზიისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 17 ქვეყნის (ევროკავშირის სამი წევრი) 21 წამყვანი ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციისგან შედგება.

ENEMO-ს მიზანია, მხარი დაუჭიროს საერთაშორისო საზოგადოების ინტერესს რეგიონში დემოკრატიის ხელშეწყობის მიმართულებით, რასაც საარჩევნო პროცესებისა და პოლიტიკური გარემოს შეფასებით და ზუსტი და მიუკერძოებელი სადამკვირვებლო ანგარიშების შეთავაზებით ახორციელებს. ENEMO-ს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები საარჩევნო პროცესის შესაფასებლად დემოკრატიული არჩევნების საერთაშორისო კრიტერიუმებსა და სტანდარტებს და მასპინძელი ქვეყნის სამართლებრივ ჩარჩოს იყენებენ. ENEMO-მ და მისმა ყველა წევრმა ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა "არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების" 2005 წლის დეკლარაციასა და სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ დეკლარაციას "არჩევნებზე არაპარტიული დაკვირვებისა და მონიტორინგის გლობალური პრინციპების" შესახებ. ENEMO-ს თითოეულ დამკვირვებელს არჩევნების საერთაშორისო დამკვირვებელთა ქცევის კოდექსზე აქვს ხელი მოწერილი.

ENEMO-ს წევრმა ორგანიზაციებმა მონიტორინგი გაუწიეს 250-ზე მეტ ეროვნულ არჩევნებს და გადამზადეს 250, 000-ზე მეტი დამკვირვებელი.

დღეისათვის ENEMO-ს ჩატარებული აქვს 43 საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია 11 ქვეყანაში მათ შორის: საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები; უნგრეთის 2024 წლის მუნიციპალური არჩევნები; მოლდოვის 2023 წლის ადგილობრივი არჩევნები; სერბეთის 2022 წლის საპრეზიდენტო და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები; უნგრეთის 2022 წლის საპარლამენტო არჩევნები; კოსოვოს 2021 წლის ადგილობრივი არჩევნები; საქართველოს 2021 წლის ადგილობრივი არჩევნები; მოლდოვის 2021 წლის საპარლამენტო არჩევნები; ალბანეთის 2021 წლის საპარლამენტო არჩევნები; მოლდოვის 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნები; მონტენეგროს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები; სერბეთის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები; უკრაინის 2020 წლის ადგილობრივი არჩევნები; მოლდოვის 2019 წლის ადგილობრივი არჩევნები; უკრაინის 2019 წლის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები; უკრაინის 2019 წლის საპრეზიდენტო არჩევნები; მოლდოვის 2018-19 წლის საპარლამენტო არჩევნები; სომხეთის 2018 წლის

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები; მოლდოვის 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები; უკრაინის 2018 წლის ადგილობრივი არჩევნები; უკრაინის 2014 წლის საპარლამენტო არჩევნები; უკრაინის 2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნები; უკრაინის 2013-2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ხელახალი ჩატარება 5 კომისიაში; 2013 წლის კოსოვოს ადგილობრივი არჩევნები, პირველი ტური; 2012 წლის უკრაინის საპარლამენტო არჩევნები; 2011 წლის კოსოვოს ხელახალი საპარლამენტო არჩევნები; 2010 წლის კოსოვოს საპარლამენტო არჩევნები; 2010 წლის ყირგიზეთის საპარლამენტო არჩევნები; 2010 წლის უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები, მეორე ტური; 2010 წლის უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები, პირველი ტური; კოსოვოს 2009 წლის ადგილობრივი არჩევნები; მოლდოვის 2009 წლის საპარლამენტო არჩევნები; საქართველოს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები; ყირგიზეთის 2007 წლის საპარლამენტო არჩევნები; უკრაინის 2007 წლის საპარლამენტო არჩევნები; უკრაინის 2006 წლის ადგილობრივი არჩევნები პოლტავაში, კიროვოგრაძში და ჩერნიგოვში; უკრაინის 2006 წლის საპარლამენტო არჩევნები; ყაზახეთის 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნები; ალბანეთის 2005 წლის საპარლამენტო არჩევნები; ყირგიზეთის 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნები; ყირგიზეთის 2005 წლის საპარლამენტო არჩევნები; უკრაინის 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, განმეორებითი მეორე ტური; უკრაინის 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნები.

ENEMO-ს წევრი ორგანიზაციებია: დემოკრატიული ტრანზიციის ცენტრი – CDT, მონტენეგრო; მონიტორინგისა და კვლევის ცენტრი – CeMI, მონტენეგრო; თავისუფალი არჩევნებისა და დემოკრატიის ცენტრი – CeSID, სერბეთი; სამოქალაქო ინიციატივების ცენტრი CCI, ბოსნია და ჰერცეგოვინა; გონგი, ხორვატია; სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება – ISFED, საქართველო; KRIIK ასოციაცია, ალბანეთი; მოქალაქეთა ასოციაცია MOST, მაკედონია; პრომო-LEX, მოლდოვა; OPORA, უკრაინა; დემოკრატიული კულტურის საზოგადოება SDC, ალბანეთი; საერთაშორისო გამჭვირვალობის ანტიკორუფციული ცენტრი (TIAC), სომხეთი; არჩევნების მონიტორინგისა და დემოკრატიული კვლევების ცენტრი (EMDS), აზერბაიჯანი; ბელარუსის ჰელსინკის კომიტეტი (BHC), ბელარუსი; FSCI, ყაზახეთი; კოსოვოს დემოკრატიული ინსტიტუტი (KDI), კოსოვო; კოალიცია დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის, ყირგიზეთი; კვლევის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ცენტრი (CRTA), სერბეთი; Obcianske OKO (OKO), სლოვაკეთი; უკრაინის ამომრჩეველთა კომიტეტი (CVU), უკრაინა; და პოლიტიკური ანგარიშვალდებულების ფონდი (PAF), პოლონეთი.